

ამოცანა 1

შპს „ზეკარი“ აწარმოებს და ყიდის ერთი სახეობის პროდუქტს. ქვემოთ მოყვანილია ნორმატიული საწარმოო დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე:

ძირითადი მუშების შრომა	3 სთ (6 ლარი/სთ)	18 ლარი
ძირითადი მასალა	4 კგ (7 ლარი/კგ)	28 ლარი
საწარმოო ზედნადები დანახარჯი	ცვლადი	3 ლარი
	მუდმივი	20 ლარი

ნორმატიული თვითღირებულება		69 ლარი

წარმოების ნორმალურ დონედ ითვლება წელიწადში პროდუქციის 16000 ერთეული და ეს მონაცემი გამოიყენება მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯის გაანგარიშებისას. დანახარჯი პროდუქციის გავრცელება-გასაღებაზე და აგრეთვე ადმინისტრაციული დანახარჯები შემდეგია:

- 1) ცვლადი - გაყიდვების ღირებულების 20%;
- 2) მუდმივი - 180000 ლარი წელიწადში.

ერთთადერთი გადახრა ესაა გადახრა მუდმივი ზედნადები დანახარჯების მოცულობაში. 20X2 წლის 1 იანვრისათვის მზა პროდუქციის საწყობში მარაგი არ იყო. მუდმივი ზედნადები დანახარჯები წლის განმავლობაში თანაბრად ნაწილდება. პროდუქციის ერთეულის გასაყიდი ფასი შეადგენს 140 ლარს.

ქვემოთ მოყვანილია სახარჯთაღრიცხვო მონაცემები პროდუქციის წარმოებასა და გასაღებაზე ორი ნახევარი წლისათვის:

	წარმოება	რეალიზაცია
	ერთეული	ერთეული
ნახევარი წელი, რომელიც მთავრდება 20X2 წლის 30 ივნისს	8500	7000
ნახევარი წელი, რომელიც მთავრდება 20X2 წლის 31 დეკემბერს	7000	8000

დავალება:

- 1) ხელმძღვანელობისათვის მოამზადეთ ანგარიშგება გაყიდვების, დანახარჯებისა და მოგების შესახებ თითოეული ნახევარწლიანი პერიოდისათვის დანახარჯების ზღვრული და სრული კალკულაციის სისტემების მიხედვით ცალ-ცალკე.
- 2) მოამზადეთ მოგება -ზარალის ანგარიშგება ორივე პერიოდისათვის ზღვრული და სრული მეთოდების შესაბამისად.
- 3) ჩამოაყალიბეთ და ახსენით სამი ბიზნეს სიტუაცია, სადაც ზღვრული დანახარჯების კალკულაციის მეთოდის გამოყენება სარგებლიანი იქნება მმართველობისათვის გადაწყვეტილების მიღებისას.

ამოხსნა:

ამოცანაში მოცემული დავალების მიხედვით უნდა მოვამზადოთ ანგარიშგება გაყიდვების, დანახარჯებისა და მოგების შესახებ თითოეული ნახევარწლიანი პერიოდისათვის ზღვრული და სრული კალკულაციებით ცალ-ცალკე.

თავდაპირველად მოვახდინოთ აღნიშნული დავალების შესრულება სრულ დანახარჯთა კალკულაციის შესაბამისად.

პირობის მიხედვით ცნობილია, რომ 20X2 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით წარმოებული 8500 ერთეული პროდუქტიდან რეალიზებულია 7000 ერთეული, ხოლო 20X2 წლის 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოებულია 7000 ერთეული პროდუქტი და რეალიზებულია 8000 ერთეული. ამოცანის პირობიდან ცნობილია ისიც, რომ ერთეული პროდუქტის სარეალიზაციო ფასი შეადგენს 140 ლარს. გამოდის, რომ პირველი ნახევარწლის მიხედვით მიღებული ამონაგები რეალიზაციიდან იქნება:

$$7000 * 140 = 980\,000 \text{ ლარი}$$

ხოლო მეორე ნახევარწლის მიხედვით მიღებული ამონაგები რეალიზაციიდან იქნება:

$$8000 * 140 = 1\,120\,000 \text{ ლარი.}$$

ახლა განვსაზღვროთ გაყიდვების თვითღირებულება.

ჩვენთვის ცნობილია, რომ სრულ დანახარჯთა კალკულაციისას წარმოებულ პროდუქციას მიაკუთვნებენ მუდმივ დანახარჯებს ცვლად დანახარჯებთან ერთად. გამოდის, რომ ჩვენი ამოცანის მიხედვით, ერთეული პროდუქტის თვითღირებულება არის 69 ლარი, რომელიც შედგება ცვლადი დანახარჯებისგან 49 ლარისგან და ერთეულის მუდმივი დანახარჯისგან 20 ლარისგან.

საწყისი მარაგი 20X2 წლის 1 იანვრისათვის ნულის ტოლია, ხოლო 20X2 წლის 1 ივლისისათვის კი უდრის

$$(8500 - 7000) * 69 = 103\,500 \text{ ლარი.}$$

საწარმოო დანახარჯების გაანგარიშებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ პირველ ნახევარწელში წარმოების მოცულობა 8500 ერთეულია, ხოლო მეორე ნახევარწელში - 7000 ერთეული. ე.ი. საწარმოო დანახარჯები პირველ ნახევარწელში იქნება:

$$8500 * 69 = 586\,500 \text{ ლარი}$$

მეორე ნახევარწლის მიხედვით კი ეს დანახარჯები იქნება:

$$7000 * 69 = 483\,000 \text{ ლარი}$$

საბოლოო მარაგი 20X2 წლის 30 ივნისისათვის არის $8500 - 7000 = 1500$ ერთეული, ხოლო 20X2 წლის 31 დეკემბრისათვის კი 500 ერთეული (ანუ საწყის მარაგს 1500-ს დამატებული წარმოების მოცულობა ამ პერიოდისათვის 7000 ერთეული და გამოკლებული რეალიზებული პროდუქციის ოდენობა 7000 ერთეული), ე.ი.

$$1500 + 7000 - 8000 = 500 \text{ ერთეული}$$

ე.ი. მივიღეთ, რომ საბოლოო მარაგის ოდენობა 20X2 წლის 31 დეკემბრისათვის იქნება:

$$500 * 69 = 34\,500 \text{ ლარი.}$$

ახლა გავიანგარიშოთ მუდმივი ზედნადები დანახარჯების შთანთქმის სიჭარბე ან დანაკლისი თითოეული ნახევარი წლისათვის.

მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯი ერთეულზე 20 ლარის ტოლია, ხოლო ამოცანის პირობის მიხედვით წარმოების ნორმატული მოცულობა 16 000 ერთეულია წელიწადში. აქედან გამომდინარე წლიური სახარჯთაღრიცხვო საწარმოო მუდმივი ზედნადები დანახარჯი იქნება:

$$16000 * 20 = 320\,000 \text{ ლარი}$$

სახარჯთაღრიცხვო მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯები თითოეული ექვსთვიანი პერიოდისათვის ცალ-ცალკე იქნება:

$$320\,000 / 2 = 160\,000 \text{ ლარი}$$

ანუ ეს ნიშნავს, რომ სავარაუდო მუდმივი ზედნადები დანახარჯი არის 160 000 ლარი.

შთანთქმული მუდმივი ზედნადები დანახარჯი, რომელიც შთანთქა 20X2 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში წარმოებულმა 8500-მა ერთეულმა პროდუქტმა, იქნება:

$$8500 * 20 = 170\,000 \text{ ლარი}$$

მივიღეთ, რომ წარმოებულმა 8500 ერთეულმა პროდუქტმა შთანთქა იმაზე მეტი მუდმივი ზედნადები დანახარჯი ვიდრე ეს ფაქტიურად იყო გაწეული, ანუ ადგილი აქვს შთანთქმის სიჭარბეს, რომელიც ტოლი იქნება:

$$170000 - 160000 = 10000 \text{ ლარი}$$

მეორე ექვსთვიანი პერიოდისათვის სიტუაცია შემდეგია: წარმოების ფაქტიური მუდმივი ზედნადები დანახარჯი ამ შემთხვევაშიც 160000 ლარია. ამ პერიოდში დამზადდა 7000 ერთეული პროდუქტი, რომელმაც შთანთქა მუდმივი ზედნადები დანახარჯი შემდეგი ოდენობით

$$7000 * 20 = 140000 \text{ ლარი}$$

მივიღეთ, რომ შთანთქმული, ანუ მიკუთვნებული მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯი 140000 ლარის ტოლია, ხოლო ფაქტიური საწარმოო მუდმივი ზედნადები დანახარჯი როგორც ვთქვით 160000 ლარს უდრის, ე.ი. ადგილი აქვს მუდმივი ზედნადები ხარჯების შთანთქმის დანაკლისს, რომელიც ტოლი იქნება:

$$160\,000 - 140\,000 = 20\,000 \text{ ლარი}$$

რადგან მოგება-ზარალის ნგარიშების შედგენაზე გვაქვს საუბარი, მუდმივი ზედნადები ხარჯების მიკუთვნების სიჭარბე ან დანაკლისი უნდა შევიდეს ამ ანგარიშგებაში და დაკორექტირდეს მუდმივი ზედნადები დანახარჯების ის ოდენობა, რომელიც ამოცანის მიხედვით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში რეალზებული პროდუქციის თვითღირებულებაში მოხდა. როგორც ვთქვით ჩვენს შემთხვევაში წლის პირველ ნახევარში საქმე გვაქვს მუდმივი ზედნადები დანახარჯების შთანთქმის სიჭარბესთან, ხოლო წლის მეორე ნახევარში ადგილი აქვს მუდმივი ზედნადები დანახარჯების შთანთქმის დანაკლისს.

როცა ადგილი აქვს შთანთქმის სიჭარბეს ეს ნიშნავს რომ პროდუქციამ თვითღირებულებაში საჭიროზე მეტი დანახარჯი გაიყოლა, რა თქმა უნდა ეს სიტუაცია შეამცირებდა რეალიზაციიდან მიღებული მოგების მაჩვენებელს, ამიტომ ზედნადები ხარჯების მიკუთვნების სიჭარბის მაჩვენებელი 10000 ლარი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მონაწილეობას მიიღებს დადებითი ნიშნით და ფაქტიურ ოდენობამდე გაზრდის მოგების მაჩვენებელს.

წლის მერე ნახევარში მიღებული მუდმივი ზედნადები დანახარჯის შთანთქმის დანაკლისი ნიშნავს რომ პროდუქციამ თვითღირებულებაში საჭიროზე ნაკლები დანახარჯი გაიყოლა, რა თქმა უნდა ეს სიტუაცია გაზრდიდა რეალიზაციიდან მიღებული მოგების მაჩვენებელს, ამიტომ ზედნადები ხარჯების მიკუთვნების დანაკლისის მაჩვენებელი 20000 ლარი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მონაწილეობას მიიღებს უარყოფითი ნიშნით და ფაქტიურ ოდენობამდე შეამცირებს მოგების მაჩვენებელს.

ახლა გავიანგარიშოთ გაყიდვების ცვლადი დანახარჯები. პირობის მიხედვით ცნობილია, რომ ეს სიდიდე გაყიდვების ღირებულების 20%-ს უდრის. მაშასადამე პირველი ნახევარწლიანი პერიოდისათვის გაყიდვების ცვლადი დანახარჯი იქნება:

$$980\,000 * 20\% = 196\,000 \text{ ლარი}$$

იგივე მტკიცებით მეორე ნახევარწლიანი პერიოდისათვის გაყიდვების ცვლადი დანახარჯი ტოლი იქნება:

$$1\,120\,000 * 20\% = 224\,000 \text{ ლარი.}$$

რაც შეეხება არასაწარმოო მუდმივ ზედნადებ დანახარჯს, იგი 180000 ლარს უდრის მთელი წლის შესაბამისად. გამოდის, რომ თითოეული ნახევარწლიანი პერიოდისათვის ცალ-ცალკე ეს დანახარჯი იქნება:

$$180\,000 / 2 = 90\,000 \text{ ლარი}$$

ე.ი. სრული დანახარჯებით კალკულაციისას მოგება-ზარალს ექნება შემდეგი სახე:
მოგება-ზარალი

	ნახევარი წელი 01.01.20X2-დან 30.06.20X2-მდე	ნახევარი წელი 01.07.20X2-დან 31.12.20X2-მდე	
ამონაგები	980 000	1 120 000	
საწყისი მარაგი	-	(103 500)	
<u>საწარმოო დანახარჯები:</u>			
8500 ერთეული (69 ლარად)	(586 500)	---	
7000 ერთეული (69 ლარად)	-	(483 000)	
<u>საბოლოო მარაგი:</u>			
1500 ერთეული (69 ლარად)	(103 500)	-	
500 ერთეული (69 ლარად)	-	(34 500)	
შთანთქმის სიჭარბე	10 000	-	
შთანთქმის დანაკლისი	-	(20 000)	
საერთო მოგება	507 000	548 000	
<u>სხვა დანახარჯები:</u>			
ცვლადი	(196 000)	(224 000)	
მუდმივი	(90 000)	(90 000)	
პერიოდის მოგება	221 000	234 000	

ახლა ვაწარმოთ გათვლები, რათა შევადგინოთ მოგება-ზარალის ანგარიშგება ცვლადი დანახარჯებით კალკულაციისას.

მაშ ასე:

ამონაგები უცვლელია და პირველი ექვსთვიანი პერიოდის შესაბამისად არის 980 000 ლარი, ხოლო მეორე ექვსთვიანი პერიოდის შესაბამისად კი - 1 120 000 ლარი.

ცვლად დანახარჯთა აღრიცხვის სისტემის შესაბამისად წარმოებულ პროდუქციას მიაკუთვნებენ მხოლოდ ცვლად დანახარჯებს, ხოლო მუდმივ ზედნადებ დანახარჯებს განიხილავენ პერიოდის დანახარჯებად. სწორედ ეს განასხვავებს ერთმანეთისგან დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის სისტემას ზღვრულ დანახარჯთა სისტემისაგან.

გამომდინარე აქედან ერთეულისათვის წარმოების დანახარჯი ტოლი იქნება 49 ლარის.

20X2 წლის 1 იანვრისათვის საწყისი მარაგი ნულის ტოლია, ხოლო ამავე წლის 1 ივლისისათვის საწყისი მარაგის დონე იქნება:

$$1500 * 49 = 73\,500 \text{ ლარი}$$

ახლა დავთვალოთ საწარმოო დანახარჯები.

პირველი ექვსთვიანი პერიოდისათვის წარმოებულია 8500 ერთეული პროდუქცია, ხოლო მეორე ექვსთვიანი პერიოდის მიხედვით წარმოებულია 7000 ერთეული პროდუქცია. მაშასადამე პირველ ნახევარწელში წარმოების დანახარჯები იქნება:

$$8500 * 49 = 416500 \text{ ლარი}$$

მეორე ნახევარწელში იგივე დანახარჯი იქნება:

$$7000 * 49 = 343\ 000 \text{ ლარი}$$

საბოლოო მარაგი 20X2 წლის 30 ივნისისათვის იქნება:

$$1500 * 49 = 73\ 500 \text{ ლარი}$$

ხოლო 20X2 წლის 31 დეკემბრისათვის ეს სიდიდიდან ტოლი იქნება:

$$(1500 + 7000 - 8000) * 49 = 24\ 500 \text{ ლარი}$$

გაყიდვების ცვლადი დანახარჯები ცვლად დანახარჯთა კალკულაციისას იგივე იქნება, რაც იყო სრული დანახარჯებით კალკულაციისას. ანუ, პირველ ნახევარწელს იქნება 196 000 ლარი, ხოლო მეორე ნახევარწელს - 224 000 ლარი.

მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯი 20 ლარია ერთეულზე, ხოლო წარმოების ნორმატული მოცულობა პირობის თანახმად 16 000 ერთეულია წელიწადში. ე.ი წლიური მუდმივი საწარმოო დანახარჯი იქნება:

$$16\ 000 * 20 = 320\ 000 \text{ ლარი}$$

გამოდის რომ თითოეული ნახევარი წლისათვის მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯი ცალ-ცალკე იქნება:

$$320\ 000 / 2 = 160\ 000 \text{ ლარი}$$

ეს დანახარჯები ამ ოდენობით იყო წარმოდგენილი სრულ დანახარჯთა კალკულაციის შემთხვევაშიც.

ასევე უცვლელი იქნება სხვა სარეალიზაციო მუდმივი დანახარჯები თითოეული ნახევარწლიანი პერიოდისათვის, რომელიც ცალ-ცალკე 90 000 ლარს უდრის.

მაშასადამე, ცვლადი დანახარჯებით კალკულაციის სისტემის შესაბამისად მოგება-ზარალის ანგარიშგებას ექნება შემდეგი სახე:

მოგება-ზარალი

ნახევარი წელი
01.01.20X2-დან

ნახევარი წელი
01.07.20X2-დან

	30.06.20X2-მდე	31.12.20X2-მდე
ამონაგები	980 000	1 120 000
საწყისი მარაგი	-	(73 500)
<u>საწარმოო დანახარჯები:</u>		
8500 ერთეული (49 ლარად)	(416 500)	---
7000 ერთეული (49 ლარად)	-	(343 000)
<u>საბოლოო მარაგი:</u>		
1500 ერთეული (49 ლარად)	(73 500)	-
500 ერთეული (49 ლარად)	-	(24 500)
გაციდვების ცვლადი დანახარჯი	(196 000)	(224 000)
ზღვრული მოგება	441 000	504 000
<u>პერიოდის სხვა დანახარჯები:</u>		
წარმოების მუდმივი დანახარჯი	(160 000)	(160 000)
რეალიზაციის მუდმივი დანახარჯი	(90 000)	(90 000)
პერიოდის მოგება	191 000	254 000

ამოცანაში მოცემული შემდგომი დავალების მიხედვით უნდა ჩამოვყალიბოთ და ავხსნათ სამი ბიზნესსიტუაცია, სადაც ზღვრული დანახარჯების კალკულაციის მეთოდის გამოყენება სარგებლიანი იქნება მმართველობისათვის გადაწყვეტილების მიღებისას.

ცვლადი დანახარჯებით კალკულაცია სასარგებლოა შემდეგ ბიზნესსიტუაციებში:

- 1) გადაწყვეტილება დახურვის შესახებ: დანახარჯთა სრული კალკულაციის მეთოდის გამოყენებით შეიძლება მივიღოთ, რომ პროდუქტი არამომგებიანია და გამომდინარე აქედან უნდა შეწყდეს მისი წარმოება. პროდუქტს დაეწერებოდა მუდმივი დანახარჯების ნაწილი, რომელიც ჩვეულებრივ უცვლელი რჩება, მიუხედავად იმისა, პროდუქციის წარმოება გძელდება თუ არა. სულ მცირე მოკლევადიანი პერიოდისათვის მაინც, ყურადღება გამახვილებული უნდა იქნეს ზღვრულ მოგებაზე და თუ პროდუქტს აქვს დადებითი ზღვრული მოგება, მისი წარმოება უნდა გაგრძელდეს.
- 2) გადაწყვეტილებები სემზღუდველ ფაქტორებთან დაკავშირებით: როდესაც რესურსები შეზღუდულია, წარმოება იმგვარად უნდა იქნეს ორგანიზებული, რომ უპირატესობა მიენიჭოს იმ პროდუქტებს, რომლებიც ერთეულზე შეზღუდული რესურსების მიხედვით ყველაზე მეტ ზღვრულ მოგებას იძლევა. მუდმივი დანახარჯები შეიძლება და უნდა იქნეს კიდევ უფულებელყოფილი, რადგან ისინი უცვლელი დარჩება, მიუხედავად იმისა, თუ რომელი პროდუქტები იქმნება.

- 3) გადაწყვეტილება - დავამზადოთ პროდუქტი თუ შევიძინოთ იგი: როდესაც კომპანიას აქვს არჩევანი - დაამზადოს თუ შეისყიდოს კომპონენტი/პროდუქტი, მან უპირატესობა უფრო იაფ ვარიანტს უნდა მიანიჭოს. ყურადღება გამახვილებული უნდა იქნეს მხოლოდ ცვლად დანახარჯებზე, რადგან, კვლავაც, მუდმივი დანახარჯები არ შეიცვლება მიუხედავად იმისა, თუ რომელ ვარიანტს ავირჩევთ.

საკონტროლო კითხვები:

- 1) რას უდრის პროდუქციის თვითღირებულება ცვლად დანახარჯთა კალკულაციისას?
პასუხი: 49 ლარი
- 2) რისი ტოლია საწისი მარაგი 20X2 წლის 1 ივლისისათვის ცვლად დანახარჯთა სისტემაში?
პასუხი: 73500 ლარი
- 3) რისი ტოლია საბოლოო მარაგი 20X2 წლის 31 დეკემბრისათვის ცვლად დანახარჯთა სისტემაში?
პასუხი: 24500 ლარი
- 4) რისი ტოლია გაყიდვების ცვლადი დანახარჯი 20X2 წლის 31 დეკემბრისათვის?
პასუხი: 224000 ლარი
- 5) რას უდრის ზღვრული მოგება 20X2 წლის 30 ივნისის მდგომარეობით?
პასუხი: 441000 ლარი
- 6) რას უდრის პროდუქციის თვითღირებულება სრულ დანახარჯთა კალკულაციისას?
პასუხი: 69 ლარი
- 7) რისი ტოლია საწისი მარაგი 20X2 წლის 1 ივლისისათვის სრულ დანახარჯთა სისტემაში?
პასუხი: 103500 ლარი
- 8) რას უდრის მოგება 20X2 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულ დანახარჯთა კალკულაციისას?
პასუხი: 234000 ლარი
- 9) რისი ტოლია მუდმივი ზედნადები დანახარჯის შთანთქმის დანაკლისი (სიჭარბე) 20X2 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით?
პასუხი: 20000 ლარი (შთანთქმის დანაკლისი)

ამოცანა 2

კომპანია „ნეკერჩხალი“ აწარმოებს „ა“ და „ბ“ სახეობის პროდუქტს.

ბაზრის გამოკვლევის თანახმად, მომავალი წლისთვის კარგი პერსპექტივები მოჩანს, როგორც „ა“ და „ბ“, ასევე „გ“ სახეობის პროდუქტისათვის.

ნედლეული შემოიტანება და შესაძლოა შემოღებული იქნეს კვოტების სისტემა, რომელიც ნედლეულის შემოტანას შეზღუდავს ყოველწლიურად 300000 ლარის ზედა ზღვარით.

კომპანიის მარკეტინგული პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ თავისი სიმძლავრეების (ან კვოტის შემოღების შემთხვევაში გამოყოფილი ნედლეულის) 60% ჩადებული იქნეს მაქსიმალურად მომგებიან პროდუქტში. მიღებული იქნა ამ პოლიტიკის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება, თუ იწარმოება სამივე სახეობის პროდუქტი, მაგრამ გაიყიდება უმცირესი მომგებიანობის მქონე პროდუქტის მხოლოდ 15%.

გეგმიური საქარხნო თვითღირებულება და გასაყიდი ფასები ყოველი ხარისხის ერთ პროდუქტზე შემდეგი სახისაა:

პროდუქტები	„ა“ ლარი	„ბ“ ლარი	„გ“ ლარი
გასაყიდი ფასი	70	95	150
ძირითადი მასალა	15	20	25
ძირითადი ხელფასი (2,50 ლარი/სთ)	15	25	45

მომდევნო წლისათვის კომპანიის წლიური საწარმოო სიმძლავრე შეადგენს ძირითადი შრომის 225000 საათს და 500000 ლარის მუდმივ ზედნადებ დანახარჯებს. ცვლადი ზედნადები დანახარჯები შეადგენს პირდაპირი ხელფასის 20%-ს.

დავალება:

- 1) განსაზღვრეთ სამი სახეობის პროდუქტიდან, მოკლევადიან პერსპექტივაში რომელი იქნება ყველაზე მოგებიანი, ხოლო რომელი ყველაზე ნაკლებად მომგებიანი. ამოდიოთ იმ ვარაუდიდან, რომ ისეთივე მოცულობით მოხდება წარმოება, როგორიც გაიყიდება:
ა) თუ მასალაზე კვოტა იქნება შემოღებული;
ბ) თუ მასალაზე კვოტა არ იქნება შემოღებული.
- 2) თუ მასალაზე კვოტა იქნება შემოღებული, გაიანგარიშოთ დაგეგმილი მოგება მომდევნო წლისათვის თუ:
ა) იწარმოება მხოლოდ „გ“ სახეობის პროდუქტი;
ბ) ახლანდელი პოლიტიკის შესაბამისად იწარმოება სამივე სახეობის პროდუქტი.

ამოხსნა:

როგორც პირობაშია მოცემული, უნდა განვსაზღვროთ სამი სახეობის პროდუქტიდან რომელი იქნება ყველაზე მომგებიანი მოკლევადიან პერსპექტივაში, მაშინ როცა მასალაზე შემოღებული იქნება კვოტა და მაშინ, როცა ეს კვოტა არ იარსებებს.

მოკლევადიან პერსპექტივაში, როგორიც არ უნდა ყოფილიყო კომპანიის გადაწყვეტილება პროდუქციის წარმოებასა და გაყიდვას დაქვემდებარებული ასორტიმენტის მიმართ, ივარაუდება, რომ მუდმივი დანახარჯები უცვლელი დარჩება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია გადაწყვეტილება აიგოს ყოველი ნაკეთობიდან ზღვრული მოგების საფუძველზე. სწორედ ამიტომ ვაწარმოთ შემდეგი გათვლები:

როგორც ვიცით

ზღვრული მოგება = სარეალიზაციო ფასს - ცვლადი დანახარჯები

გავთვალოთ ცვლადი დანახარჯების ჯამური ოდენობა თითოეული პროდუქტისათვის ცალ-ცალკე.

პირობის თანახმად ერთეული „ა“ პროდუქტის დამზადებისათვის საჭიროა 15 ლარის შესაბამისი მასალა და 15 ლარის შესაბამისი შრომა. ამ პროდუქტის ერთულის დამზადებისათვის საჭირო წარმოების ცვლადი დანახარჯი პრდაპირი ხელფასის 20%-ია, ანუ იგი ტოლი იქნება:

$$15 * 20\% = 3 \text{ ლარი}$$

მაშასადამე ერთეული „ა“ პროდუქტის დამზადებისათვის საჭირო ცვლადი დანახარჯების ჯამური ოდენობა იქნება:

$$15 + 15 + 3 = 33 \text{ ლარი}$$

პირობის თანახმად „ა“ პროდუქტის სარეალიზაციო ფასი არის 70 ლარი. გამოდის რომ ერთეულ „ა“ პროდუქტზე ზღვრული მოგება იქნება:

$$70 - 33 = 37 \text{ ლარი}$$

იგივე გათვლები ვაწარმოოთ ახლა „ბ“ და „გ“ პროდუქტებისათვის. მაშ ასე:

ერთეული „ბ“ პროდუქტის დამზადებისათვის პირობის თანახმად საჭიროა:

მასალა - 20 ლარი

ძირითადი ხელფასი - 25 ლარი

ცვლადი დანახარჯი - $25 * 20\% = 5$ ლარი

სულ ცვლადი დანახარჯი = $20 + 25 + 5 = 50$ ლარი

„ბ“ პროდუქტის გასაყიდი ფასი 95 ლარის ტოლია, ხოლო ზღვრული მოგება ერთეულ „ბ“ პროდუქტზე იქნება:

$$95 - 50 = 45 \text{ ლარი.}$$

ერთეული „გ“ პროდუქტის დამზადებისათვის პირობის თანახმად საჭიროა:

მასალა - 25 ლარი

ძირითადი ხელფასი - 45 ლარი

ცვლადი დანახარჯი - $45 * 20\% = 9$ ლარი

სულ ცვლადი დანახარჯი = $25 + 45 + 9 = 79$ ლარი

„გ“ პროდუქტის გასაყიდი ფასი 150 ლარის ტოლია, ხოლო ზღვრული მოგება ერთეულ „გ“ პროდუქტზე იქნება:

$$150 - 79 = 71 \text{ ლარი.}$$

ახლა განვსაზღვროთ რომელი პროდუქტი მოგვცემს უფრო მაღალ ზღვრულ მოგებას თუ მასალაზე კვოტა არ იქნება შემოღებული. თუ მასალაზე კვოტა არ იარსებებს, მაშინ კომპანიის საწარმოო სიმძლავრე შეზღუდული იქნება 225000 კაცსაათით და ამ შემთხვევაში მან უნდა მიაღწიოს მაქსიმალურ ზღვრულ მოგებას ყოველ კაცსაათზე. ანუ, ცნობილია, რომ როდესაც მარტო ერთი რესურსი ზღუდავს ორგანიზაციის საქმიანობას (რეალიზაციაზე მოთხოვნის გარდა), წარმოების ოპტიმალური გეგმის შესადგენად პროდუქტების კატეგორიზაცია ხორციელდება შემზღუდველი ფაქტორის ერთეულზე ზღვრული მოგების სიდიდის მიხედვით. განვსაზღვროთ რომელ პროდუქტს აქვს უფრო მაღალი ზღვრული მოგება ერთ კაცსაათზე. ამ სიდიდის გასათვლელად გამოვიყენოთ შემდეგი ტოლობა:

$$\frac{\text{ზღვრული მოგება}}{\text{ერთეულზე}} = \frac{\text{ერთეულის ზღვრული მოგება}}{\text{ერთეულისთვის საჭირო შემზღ. ფაქტორის ერთეულების ოდენობა}}$$

ზღვრული მოგება თითოეული პროდუქტის ერთეულისათვის ჩვენ უკვე გავიანგარიშეთ, ახლა გავთვალოთ რამდენი კაცსაათია საჭირო თითოეული პროდუქტის ერთეულის დასამზადებლად.

ცნობილია, რომ ერთეული „ა“ პროდუქტის დასამზადებლად საჭიროა 15 ლარის შესაბამისი შრომა. რადგანაც ერთი საათის შრომა ანაზღაურებულია 2,50 ლარით, ამიტომ ერთეული „ა“ პროდუქტის დასამზადებლად საჭირო დრო ტოლი იქნება:

$$15 / 2,5 = 6 \text{ საათი}$$

იგივე მტკიცებით:

ერთეული „ბ“ პროდუქტის დასამზადებლად საჭირო დრო ტოლი იქნება:

$$25 / 2,5 = 10 \text{ საათი}$$

ერთეული „გ“ პროდუქტის დასამზადებლად საჭირო დრო ტოლი იქნება:

$$45 / 2,5 = 18 \text{ საათი}$$

მაშასადამე ზღვრული მოგება მეათედამდე სიზუსტით ერთ კაცსაათზე:

„ა“ პროდუქტისათვის იქნება:

$$37 / 6 = 6,2 \text{ ლარი}$$

„ბ“ პროდუქტისათვის იქნება:

$$45 / 10 = 4,5 \text{ ლარი}$$

„გ“ პროდუქტისათვის იქნება:

$$71 / 18 = 3,9 \text{ ლარი}$$

მაშასადამე, თუ მასალაზე კვოტა შემოღებული არ იქნება „ა“ პროდუქტი ყველაზე მაღალ ზღვრულ მოგებას იძლევა ერთ საათში და ამიტომ იგი ყველაზე უფრო მომგებიანია.

ახლა ვნახოთ რა ხდება იმ შემთხვევაში თუ მასალაზე შემოღებული იქნება კვოტა. ამ შემთხვევაში კომპანიამ მაქსიმალური ზღვრული მოგება უნდა მიიღოს მასალის შესყიდვაზე

დახარჯული ყოველი ერთი ლარიდან. ვნახოთ რომელი პროდუქტი გვამღევს ყველაზე მაღალ ზღვრულ მოგებას მასალის დახარჯულ ყოველ ერთ ლარზე.

პირობის თანახმად ვიცით, რომ ერთეული „ა“ პროდუქტის დამზადებისათვის საჭიროა 15 ლარის შესაბამისი მასალა. ერთეულ „ა“ პროდუქტზე ზღვრული მოგება 37 ლარს უდრის. გამოდის, რომ ზღვრული მოგება მასალაში გადახდილ ყოველ ერთ ლარზე „ა“ პროდუქტისათვის მეათედამდე სიზუსტით ტოლი იქნება:

$$37 / 15 = 2,5 \text{ ლარი}$$

იგივე მტკიცებით ზღვრული მოგება მასალაში გადახდილ ყოველ ერთ ლარზე „ბ“ პროდუქტისათვის მეათედამდე სიზუსტით ტოლი იქნება:

$$45 / 20 = 2,3 \text{ ლარი}$$

ხოლო ზღვრული მოგება მასალაში გადახდილ ყოველ ერთ ლარზე „გ“ პროდუქტისათვის მეათედამდე სიზუსტით ტოლი იქნება:

$$71 / 25 = 2,8 \text{ ლარი}$$

მივიღეთ, რომ თუ მასალაზე შემოღებული იქნება კვოტა, მაშინ ყველაზე მეტ ზღვრულ მოგებას მასალაზე დახარჯულ ყოველ ერთ ლარზე იძლევა „გ“ პროდუქტი და გამომდინარე აქედან ეს პროდუქტი ყველაზე მომგებიანია.

მაშასადამე ჩვენი გათვლებით მივიღეთ:

	პროდუქტი		
	„ა“	„ბ“	„გ“
გასაყიდი ფასი	70	95	150
ძირითადი მასალა	15	20	25
ძირითადი ხელფასი	15	25	45
ცვლადი ზედნადები ხარჯი	3	5	9
<i>სულ დანახარჯები</i>	33	50	79
<i>ზღვრული მოგება</i>	37	45	71
ერთეულის დამზადებისათვის საჭირო დრო	6	10	18
<i>ზღვრული მოგება ერთ კაცსაათზე</i>	6,2	4,5	3,9
<i>ზღვრული მოგება მასალის 1 ლარზე</i>	2,5	2,3	2,8

ამოცანის მომდევნო დავალების მიხედვით უნდა გავიანგარიშოთ დაგეგმილი მოგების ოდენობა, როცა მასალაზე კვოტა იქნება შემოღებული და იწროება მხოლოდ „გ“ სახეობის პროდუქტი. მოგების ამ სიდიდის გასაანგარიშებლად ვაწარმოთ შემდეგი გათვლები:

მაშასადამე „გ“ პროდუქტის საწარმოებლად საწარმოს გააჩნია მაქსიმუმ 300 000 ლარის მასალა. მასალის ამ ოდენობით, როცა ერთეული „გ“ პროდუქტი დამზადებისათვის საჭიროა 25 ლარის მასალა, „გ“ პროდუქტის დაგეგმილი წარმოებული ერთეულების ოდენობა იქნება:

$$300\,000 / 25 = 12\,000 \text{ ერთეული.}$$

როგორც გავთვალეთ ერთეულ „გ“ პროდუქტზე ზღვრული მოგების ოდენობა 71 ლარის ტოლია, მაშასადამე ზღვრული მოგების ჯამური ოდენობა 12 000 ერთეულის შესაბამისად იქნება:

$$12\,000 * 71 = 852\,000 \text{ ლარი.}$$

ამოცანის პირობის მიხედვით მუდმივი ზედნადები დანახარჯების ოდენობა 500 000 ლარის ტოლია. გამოდის, რომ დაგეგმილი წლიური მოგება ტოლი იქნება:

$$852\,000 - 500\,000 = 352\,000 \text{ ლარი.}$$

ამოცანის მომდევნო დავალებით უნდა გავიანგარიშოთ დაგეგმილი მოგების ოდენობა, როცა მასალაზე კვოტა იქნება შემოღებული და იწარმოება სამივე სახეობის პროდუქტი. მოგების ამ სიდიდის გასაანგარიშებლად ვაწარმოთ შემდეგი გათვლები:

ამოცანის პირობიდან ცნობილია, რომ კომპანიის მარკეტინგული პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ თავისი სიმძლავრეების (ან კვოტის შემოღების შემთხვევაში გამოყოფილი ნედლეულის) 60% ჩადებული იქნეს მაქსიმალურად მომგებიან პროდუქტში და მიღებული იქნა ამ პოლიტიკის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება, თუ იწარმოება სამივე სახეობის პროდუქტი, მაგრამ გაიყიდება უმცირესი მომგებიანობის მქონე პროდუქტის მხოლოდ 15%. მაშასადამე მთელი მასალის (300 000 ლარის მასალის) 60% დაიხარჯება „გ“ სახეობის პროდუქტზე (რადგანაც ის ყველაზე მეტ ზრვრულ მოგებას იძლევა შეძენილი მასალის ყოველ ერთ ლარზე), მასალის 15% დაიხარჯება „ბ“ პროდუქტის წარმოებაზე (რადგანაც ის ყველაზე ნაკლებ ზრვრულ მოგებას იძლევა შეძენილი მასალის ყოველ ერთ ლარზე), ხოლო მასალის დანარჩენი 25% დაიხარჯება „ა“ პროდუქტის წარმოებაზე.

მაშასადამე:

„ა“ პროდუქტის წარმოებაზე გამოყენებული მასალის ოდენობა იქნება:

$$300\,000 * 25\% = 75\,000 \text{ ლარი}$$

„ბ“ პროდუქტის წარმოებაზე გამოყენებული მასალის ოდენობა იქნება:

$$300\,000 * 15\% = 45\,000 \text{ ლარი}$$

„გ“ პროდუქტის წარმოებაზე გამოყენებული მასალის ოდენობა იქნება:

$$300\,000 * 60\% = 180\,000 \text{ ლარი}$$

შესაბამისად დაგეგმილი წარმოების მოცულობა ერთეულებში იქნება:

„ა“ პროდუქტისათვის:

$$75\,000 / 15 = 5000 \text{ ერთეული;}$$

„ბ“ პროდუქტისათვის:

$$45\ 000 / 20 = 2250 \text{ ერთეული;}$$

„გ“ პროდუქტისათვის:

$$180\ 000 / 25 = 7\ 200 \text{ ერთეული;}$$

ჯამური ზღვრული მოგება სამივე პროდუქტისათვის ერთად იქნება:

$$5000 * 37 + 2250 * 45 + 7200 * 71 = 797450 \text{ ლარი}$$

მუდმივი ზედნადები დანახარჯი 500 000 ლარის ტოლია და გამოდის, რომ დაგეგმილი წლიური მოგება ტოლი იქნება:

$$797\ 450 - 500\ 000 = 297\ 450 \text{ ლარი}$$

საკონტროლო კითხვები:

- 1) რას უდრის ცვლადი დანახარჯი ერთეულ „ბ“ პროდუქტზე?
პასუხი: 5 ლარი
- 2) რას უდრის ზღვრული მოგება ერთეულ „ა“ პროდუქტზე?
პასუხი: 37 ლარი
- 3) რას უდრის საწარმოო დანახარჯი ერთეულ „გ“ პროდუქტზე?
პასუხი: 79 ლარი
- 4) რამდენი კაცსათია საჭირო ერთეული „ბ“ პროდუქტის დასამზადებლად?
პასუხი: 10 სთ
- 5) რას უდრის ზღვრული მოგება „გ“ პროდუქტისათვის 1 სთ-ის შესაბამის შრომაზე მეთედამდე სიზუსტით?
პასუხი: 3,9 ლარი
- 6) რას უდრის ზღვრული მოგება „ა“ პროდუქტისათვის მასალის ერთეულზე მეთედამდე სიზუსტით?
პასუხი: 2,5 ლარი
- 7) რას უდრის დაგეგმილი წლიური მოგება მომდევნო წლისათვის,თუ მასალაზე შემოღებული იქნება კვოტა და იწარმოება მხოლოდ „გ“ პროდუქტი?
პასუხი: 352000 ლარი
- 8) რას უდრის დაგეგმილი წლიური მოგება,თუ მასალაზე შემოღებული იქნება კვოტა და არსებული პოლიტიკის შესაბამისად იწარმოება სამივე სახის პროდუქტი?
პასუხი: 297450 ლარი

ამოცანა 3

შპს „ნორმა“ ყიდულობს და ყიდის ერთი სახის პროდუქტს. იყენებს ზღვრული დანახარჯებით კალკულაციის სისტემას.

კომპანიის პოლიტიკა ითვალისწინებს:

- ა) საწყისი ნორმატივების გადასინჯვას არაკონტროლირებადი ცვლილებების დროს;
- ბ) წარმოებისა და გაყიდვების ფაქტიური მონაცემებით მოქნილი ბიუჯეტების ჩამოყალიბება;
- გ) გადახრების ანალიზით ოპერატიულ ანგარიშგებას.

20X2 წლის საწყისი გეგმიური მონაცემები:

	ლარი	ლარი	
პროდუქციის გასაყიდის ფასი			100
მინუს: ძირითადი მასალა 5კგ (10ლარი/კგ)		50	
პირდაპირი შრომა 3 სთ (6 ლარი/სთ)		18	
			68

გეგმიური ზღვრული მოგება			32

პუნქტი „ა“:

არაკონტროლირებადი ცვლილებები შემდეგი სახისაა:

- 1) ერთეული პროდუქციის მიმდინარე საბაზრო ფასი 110 ლარია;
- 2) პროფკავშირების მოთხოვნით, ხელფასის საწყისი ნორმატიული განაკვეთი გაიზარდა 0,60 ლარით;
- 3) წარმოებული და რეალიზებული მარაგის გეგმიური რაოდენობა 1600 ერთეულია.

დავალება 1:

გათვალისწინეთ ზემოთმოყვანილი ცვლილებები ნორმატივებში და გაიანგარიშეთ გადასინჯული გეგმიური ზღვრული მოგება.

პუნქტი „ბ“:

პროდუქციის წარმოების საწყისი გეგმა შეადგენს 1600 ერთეულს. გათვალისწინებული იყო იგივე მოცულობის რეალიზაცია სრულად:

- 1) ფაქტიურად წარმოებული ერთეულები შეადგენს - 2400 ერთეულს
- 2) ფაქტიური რეალიზაცია - 2000 ერთეული
- 3) ფაქტიურად ანაზღაურებული საათების ოდენობა - 7600 საათი
- 4) აქედან მოცდენილი (ანაზღაურებული) საათები - 200 საათი

დავალება 2:

აღნიშნული ინფორმაციის გამოყენების საფუძველზე მოახდინეთ „ა“ პუნქტში გადასინჯული ზღვრული მოგების დაკორექტირება შემდეგი კომპონენტების გავლენის მიხედვით:

- დამატებითი წარმადობით;
- პროდუქტიულობის შემცირებით;
- მოცდენით;
- გაუყიდავი მარაგის ზრდით.

გამოთვალეთ ფაქტიური მოცულობის მიხედვით დაკორექტირებული ზღვრული მოგება.

პუნქტი „გ“:

- 1) გაყიდვების სტიმულირების მიზნით პროდუქციის ერთეული ფაქტიურად გაიყიდა 106 ლარად.
- 2) მასალის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 12060 კგ (10 ლარი/კგ).

3) ფაქტიურად დაქირავებული იქნა უფრო დაბალკვალიფიციური პერსონალი და საათი ანაზღაურებული იქნა 6,20 ლარად.

დავალეზა 3:

გაიანგარიშეთ ფაქტიური დანახარჯებიდან გამოწვეული საოპერაციო გადახრები:

- გაყიდვის ფასით გამოწვეული გადახრა;
- მასალის გამოყენებით გამოწვეული გადახრა;
- შრომის ანაზღაურების განაკვეთით გამოწვეული გადახრა;
- შრომის ნაყოფიერებით გამოწვეული გადახრა;
- მოცდენილი სამუშაო დროით გამოწვეული გადახრა.

გამოთვალეთ ფაქტიური ზღვრული მოგება.

დავალეზა 4:

გააერთიანეთ ეს ინფორმაცია ერთ ფორმაში ანგარიშგების სახით და მოახდინეთ მისი გაანალიზება.

ამოხსნა:

ამოცანი პირველი დავალეზების შესაბამისად მოვახდინოთ „ა“ პუნქტში მოტანილი მონაცემების გამოყენებით გადასიჯული გეგმიური ზღვრული მოგების გაანგარიშება. მაშ ასე:

ლარი

პროდუქციის გასაყიდი ფასი	110
ძირითადი მასალა (5კგ; 10 ლ/კგ-ზე)	(50)
ძირითადი შრომა (3 სთ; 6+0,6=6,6 ლ/სთ-ზე)	(19,8)

გადასინჯული ზღვრული მოგება (ერთეულზე)	40,20

პირობის თანახმად ცნობილია, რომ წარმოებული და რეალიზებული მარაგის გეგმიური რაოდენობა 1600 ერთეულია. გამომდინარე აქედან 1600 ერთეულისათვის:

ლარი

საწყისი საბიუჯეტო ზღვრული მოგება (32 ლ * 1600ერთ.)	51200
<u>გადახედული გადახრები:</u>	
სარეაიზაციო ფასის გადახრა (1600 ერთ * 10 ლ)	16000(ხ)
შრომის ანაზღ. განაკვეთის გადახრა (16000 ერთ. * 3 სთ * 0,6 ლ)	2880 (ა)

გადახედული ჯამური ზღვრული მოგება	64320

ახლა ამოცანის მე-2 დავალეზის მიხედვით „ბ“ პუნქტში მოტანილი მონაცემების გათვალისწინებით უნდა გამოვთვალოთ ფაქტიური მოცულობის მიხედვით დაკორექტირებული ზღვრული მოგება.

გავიანგარიშოთ დამატებითი წარმადობით გამოწვეული გადახრა. ამოცანის პირობის თანახმად ცნობილია, რომ ფაქტიურად ანაზღაურებული საათების ოდენობა არის 7600 საათი. ვიცით რომ ერთეულის დამზადებისათვის საჭიროა 3 საათის შრომა. გამოდის რომ ფაქტიურად გამოიმუშავებული 7600 საათის შესაბამისი შრომით გეგმიური 3 საათიანი განაკვეთის მიხედვით დამზადებული პროდუქციის ოდენობა მეთასწამდე სიზუსტით იქნება:

$$7600 / 3 = 2533,33 \text{ ერთეული}$$

წარმოების გეგმიური დონე 1600 ერთეულია, ხოლო ერთეულის გადასინჯული ზღვრული მოგება - 40,20 ლარი. მაშასადამე დამატებითი წარმადობით გამოწვეული გადახრა ხელსაყრელია და მთელებამდე სიზუსტით ტოლი იქნება:

$$(2533,33 - 1600) * 40,20 = 37520 \text{ ლარი}$$

ახლა გავიანგარიშოთ პროდუქტიულობის შემცირებით გამოწვეული გადახრა.

ამოცანის პირობიდან გამომდინარე ანაზღაურებული 7600 საათიდან 200 საათი მოცდენაა. გამოდის რომ წარმოების პროცესზე გახარჯული დსაათები იქნება

$$7600 - 200 = 7400 \text{ საათი}$$

ფაქტიურად წარმოებული პროდუქციის ოდენობა 2400 ერთეულია, რომლის დამზადებისათვისაც საჭირო ნორმატული დრო არის:

$$2400 * 3 = 7200 \text{ საათი}$$

გამოდის რომ 2400 ერთეული პროდუქციის დამზადებისათვის გამოყენებულია იმაზე მეტი დრო, ვიდრე ეს ნორმატულად იყო საჭირო. ზედმეტად გახარჯულო დროის ოდენობა არის

$$7400 - 7200 = 200 \text{ საათი}$$

200 საათში კი შესაძლებელი იყო $200 / 3 = 66,66$ ერთეული (მეასედამდე სიზუსტით) პროდუქტის დამზადება, და შესაძლებელი იყო მიღებული ყოფილიყო ზღვრული მოგება რომელიც მთელებამდე სიზუსტით ტოლი იქნებოდა:

$$66,66 * 40,20 = 2680 \text{ ლარის}$$

მაშასადამე პროდუქტიულობის შემცირებით ადგილი აქვს არახელსაყრელ გადახრას რომელიც უდრის 2693 ლარს.

როგორც პირობიდანაა ცნობილი მოცდენის დრო 200 საათია. მოცდენის გამო მიღებული იქნება არახელსაყრელი გადახრა რომელიც მთელებამდე სიზუსტით ტოლი იქნება:

$$200 / 3 * 40,20 = 2680 \text{ ლარი}$$

როგორც მოცემულობიდანაა ცნობილი დამზადებულია 2400 ერთეული პროდუქცია საიდანაც რეალიზებული მხოლოდ 2000 ერთეული. მაშასადამე მარაგში დარჩენილია 400 ერთეული პროდუქტი, რაც განაპირობებს გაუყიდავი მარაგის ზრდით გამოწვეული გადახრის წარმოშობას, რომელიც ტოლი იქნება:

$$400 * 40,20 = 16080 \text{ ლარის}$$

მაშასადამე ამ გათვლების შედეგად მივიღეთ შემდეგი:

ლარი

გადახედული ზღვრული მოგება ($16000 * 40,20$) 64320

გადახრა დამატებითი წარმადობით ($((7600/3-1600)*40,2)$) 37520 (ბ)

გადახრა პროდუქტიულობის შემცირებით

$$((7600 - 200) - (2400 * 3))/3 * 40,2 \quad 2680 \text{ (ა)}$$

გადახრა მოცდენის გამო ($200 / 3 * 40,20$) 2680 (ა)

გადახრა გაუყიდავი მარაგის გამო ($400 * 40,20$) 16080 (ა)

ახლა განვიხილოთ ამოცანაში მოცემული მესამე დავალება სადაც უნდა გავითვალისწინოთ „გ“ პუნქტის მონაცემები.

პირობის თნახმად გაყიდვების სტიმულირების მიზნით პროდუქციის ერთეული ფაქტიურად გაიყიდა 106 ლარად, მაშინ როცა ნორმატული სარეალიზაციო ფასი 110 ლარი იყო. გამოდის რომ ადგილი აქვს გაყიდვების ფასის არახელსაყრელ გადახრას, რომელიც იმ პირობებში, როცა რეალიზებულია 2000 ერთეული პროდუქცია, ტოლი იქნება:

$$2000 * (110 - 106) = 8000 \text{ ლარი}$$

ახლა ვნახოთ რა მდგომარეობაა მასალასი გამოყენების კუთხით. პირობიდან ცნობილია, რომ 2400 ერთეული პროდუქტის დამზადებისათვის მასალის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 12060 კგ (10 ლარი/კგ). ნორმატივების მიხედვით 2400 ერთეული პროდუქციის დამზადებისათვის საწირო მასალის ოდენობა უნდა ყოფილიყო:

$$2400 * 5 = 12 000 \text{ კგ}$$

გამოდის რომ ადგილი აქვს მასალის გამოყენებით გამოწვეულ არახელსაყრელ გადახრას, რომელიც ტოლი იქნება:

$$(12 060 - 12000) * 10 = 600 \text{ ლარი}$$

ამოცანის მოცემულობის მიხედვით ფაქტიურად დაქირავებული იქნა უფრო დაბალკვალიფიციური პერსონალი და საათი ანაზღაურებული იქნა 6,20 ლარად ნაცვლად ნორმატივით განსაზღვრული 6,60 ლარისა. ანაზღაურებული საათების ოდენობა 7600 საათია. მაშასადამე მიღებულია შრომის ანაზღაურების განაკვეთით გამოწვეული ხელსაყრელი გადახრა, რომელიც ტოლი იქნება:

$$(6,60 - 6,20) * 7600 = 3040 \text{ ლარი.}$$

„ბ“ პუნქტის მოცემულობების განხილვისას ჩვენ ვაჩვენეთ რომ 2400 ერთეული პროდუქციის დამზადებისათვის 200 საათით მეტი სამუშაო დრო არის გამოყენებული, ვიდრე ეს ნორმატულად იყო საჭირო. თუ ერთი საათი ანაზღაურდებოდა 6,6 ლარად, მაშინ შრომის ნაყოფიერებით გამოწვეული ხელსაყრელი გადახრა იქნება:

$$200 * 6,6 = 1320 \text{ ლარი}$$

ასევე ხელსაყრელი იქნება მოცდენით გამოწვეული გადახრა, რომელიც ტოლია:

$$200 * 6,6 = 1320 \text{ ლარი}$$

მაშასადამე ჩვენი გათვლების შედეგად:

	ლარი
გადახედილი ნორმატული ზღვრული მოგება	80400
გაყიდვის ფასით გამოწვ. გადახრა $(2000 * (110 - 100))$	8000 (ა)
მასალის გამოყენებით გამოწვეული გადახრა $(12060-12000)*10$	600 (ა)
შრომის ანაზღ. განაკვეთით გამოწვ. გადახრა $(6,60-6,20)*7600$	3040 (ბ)
შრომის ნაყოფიერებით გამოწვ. გადახრა $(200 * 6,60)$	1320 (ა)
გადახრა მოცდენის გამო $(200 * 6,60)$	1320 (ა)

ამოცანის მე-4 დავალებით ჩვენს მიერ განხორციელებული გათვლების შედეგად მიღებული ინფორმაციები უნდა გავერთიანოთ ერთ ფორმში ანგარიშების სახით და უნდა მოვახდინოთ მისი გაანალიზება:

მაშასადამე, ერთ ფორმაში მოქცეულ ანგარიშებს ექნება შემდეგი სახე:

საწყისი საბიუჯეტო ზღვრული მოგება (32 ლ * 1600ერთ.)	51200
<u>გადახდილი გადახრები:</u>	
სარეაქციო ფასის გადახრა (1600 ერთ * 10 ლ)	16000(ბ)
შრომის ანაზღ. განაკვეთის გადახრა (16000 ერთ. * 3 სთ * 0,6 ლ)	2880 (ა)

გადახდილი ჯამური ზღვრული მოგება	64320
გადახრა დამატებითი წარმადობით $((7600/3-1600)*40,2)$	37520 (ბ)
გადახრა პროდუქტიულობის შემცირებით $((7600 - 200) - (2400 * 3))/3*40,2$	2680 (ა)
გადახრა მოცდენის გამო $(200 / 3 * 40,20)$	2680 (ა)
გადახრა გაუყიდავი მარაგის გამო $(400 * 40,20)$	16080 (ა)

გადახდილი ნორმატული ზღვრული მოგება	80 400
გაყიდვის ფასით გამოწვ. გადახრა $(2000 * (110 - 100))$	8000 (ა)
მასალის გამოყენებით გამოწვეული გადახრა $(12060-12000)*10$	600 (ა)
შრომის ანაზღ. განაკვეთით გამოწვ. გადახრა $(6,60-6,20)*7600$	3040 (ბ)
შრომის ნაყოფიერებით გამოწვ. გადახრა $(200 * 6,60)$	1320 (ა)
გადახრა მოცდენის გამო $(200 * 6,60)$	1320 (ა)

ფაქტიური ზღვრული მოგება 72 200

აღნიშნული უწყისი (ოპერაციული უწყისი) გვიჩვენებს, რომ გასაყიდი ფასის ცვლილებისა და ხელფასის განაკვეთის ზრდის ეფექტის ერთიანი ზემოქმედების შედეგად, ბიუჯეტით გათვალისწინებული გაყიდვებიდან ზღვრული მოგება უნდა ყოფილიყო 64320 ლარი

ფაქტობრივი გაყიდვები აღემატებოდა მოსალოდნელს, რადგან წარმოებული იქნა უფრო მეტი რაოდენობის პროდუქცია, მიუხედავად მოსალოდნელზე ნაკლები ეფექტურობისა და არსებული მოცდენისა. მმართველობამ უნდა განიხილოს დამაკორექტირებელი სამუშაოების დაგეგმვის დანახარჯი-სარგებელი, რათა თავიდან იქნას აცილებული დამატებითი ხარჯები. განსახილველია აგრეთვე მარაგისათვის პროდუქცია წარმოების პოლიტიკაც: რა უმჯობესია - წარმოების შეზღუდვა თუ მოთხოვნის სტიმულირება.

მმართველობამ უნდა განიხილოს: გამოიწვია თუ არა მოსალოდნელზე ნაკლები სახელფასო განაკვეთის გადახდამ ეფექტურობის გადახრა და აგრეთვე განიხილოს ის ოპერაციული პრობლემები, რომლებიც აღინიშნა მასალების მოხმარების გადახრასთან დაკავშირებით.

საკონტროლო კითხვები:

1) რას უდრის „ა“ პუნქტშიარსებული ცვლილებების საფუძველზე გადასინჯული ზღვრული მოგება ერთეულ პროდუქტზე?

პასუხი: 40,2 ლარი

2) რისი ტოლია საწყისი საბიუჯეტო ზღვრული მოგება 1600 ერთეულისათვის?

პასუხი: 51200 ლარი

3) რისი ტოლია „ა“ პუნქტში არსებული მონაცემების მიხედვით ფასის გადახრა?

პასუხი: 16000 ლარი

4) რისი ტოლია მოცდენის გამო გამოწვეული გადახრა „ბ“ პუნქტის მონაცემების მიხედვით მთელუბამდე სიზუსტით?

პასუხი: 2680 ლარი

5) რას უდრის გაუყიდავი მარაგის გამო წარმოშობილი გადახრა?

პასუხი: 16080 ლარი

6) რას უდრის მასალის გამოყენებით გამოწვეული გადახრა?

პასუხი: 600 ლარი

7) რას უდრის შრომის ნაყოფიერებით გამოწვეული გადახრა?

პასუხი: 1320 ლარი

ამოცანა 4

ქვემოთ მოცემულია კომპანია „გამა“-ს მონაცემები, რომელიც ახდენს 20X0 წლის მარტი-ივნისის პერიოდის ბიუჯეტირებას.

ა) მონაცემები ამოხსნისათვის:

1) ბიუჯეტური საბალანსო ანგარიშგების მონაცემები:

1 მარტი 20X0 წელი

	თავდაპირველი ღირებულება (ლარი)	ამორტიზაცია თარიღისათვის (ლარი)	წმინდა ღირებულება (ლარი)
ძირითადი საშუალებები:			
მიწა და ნაგებობები	500000	-	500000
დანადგარები და აღჭურვილობა	124000	84500	39500
სატრანსპორტო საშუალებები	42000	16400	25000
	666000	100900	565100

სამუშაო კაპიტალი:

(ლარებში)

მიმდინარე აქტივები:

ნედლეულის მარაგი (100 ერთეული)

4320

მზა პროდუქციის მარაგი (110 ერთეული)

10450

დებიტორები (იანვარი - 7680ლარი, თებერვალი - 10400 ლარი)	18080
სალარო და ბანკი	6790

39640

მინუს: მიმდინარე ვალდებულებები:
კრედიტორები (ნედლეულობა)

3900

35740

600840

წარმოდგენილია :

ჩვეულებრივი აქციები (სრულად გადახდილი) 1ლ აქციაზე	500000
საემისიო შემოსავალი	60000
მოგება -ზარალის ანგარიშგება	40840

600840

- 2) მზა პროდუქციის მარაგი შეფასებულია ცვლადი დანახარჯებით;
- 3) მომდევნო ოთხი თვისათვის წარმოების დანახარჯების ბიუჯეტი შემდეგნაირად გამოიყურება:

	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
	(ლარებში)			
გაყიდვები (ერთეულებში)	80	84	96	94
წარმოება (ერთეულებში)	70	75	90	90
ნედლეულის შესყიდვა	80	80	85	85
ხელფასი და ცვლადი ზედნადები დანახარჯი	4550	4875	5850	5850
მუდმივი ზედნადები დანახარჯი	1200	1200	1200	1200

დავალება 1:

ზემოთმოყვანილი მონაცემების საფუძველზე გაინაგარიშეთ და შეადგინეთ ნედლეულისა და მზა პროდუქციის ბიუჯეტი ერთეულებში ყოველი თვისათვის, მარტიდან დაწყებული ივნისის ჩათვლით

გათვლების საწარმოებელი ფორმის ნიმუში 1-ლი დავალების შესასრულებლად:

მარაგის ბიუჯეტი
ერთეულები
მარტი აპრილი მაისი ივნისი

ნედლეული:

საწყისი მარაგი
პლუს: შესყიდვები

მინუს: წარმოებაში გამოყ. ნედლეული
საბოლოო მარაგი

მზა პროდუქცია:

საწყისი მარაგი

პლუს: წარმოება

მინუს: გაყიდვები

საბოლოო მარაგი

ბ) მონაცემები ამოხსნისათვის:

- 1) კომპანია აპირებს პროდუქციის ერთეულის გაყიდვას 219 ლარად და გეგმავს, რომ ნედლეულის ერთეულს შეიძენს 45 ლარად. მზა პროდუქციის ერთეულისათვის მოითხოვება ნედლეულის ერთი ერთეული.
- 2) ყველა გაყიდვა და ნედლეულის შესყიდვა ხორციელდება კრედიტში. დებიტორებს წარედგინებათ ორთვიანი კრედიტი, ხოლო ნედლეულის მოწოდების განაღდება ხდება ერთთვიანი კრედიტის შემდეგ;
- 3) კომპანია მარაგის შეფასებისათვის გამოიყენებს FIFO მეთოდს.

დავალება 2:

გაიანგარიშეთ გაყიდვების შესაბამისი ბიუჯეტი, დაგეგმილი საწარმოო დანახარჯები, დაგეგმილი საბოლოო დებიტორული დავალიანება, საბოლოო კრედიტორული დავალიანება და საბოლოო მარაგი ფულად გამოსახულებაში.

გათვლების საწარმოებელი ფორმის ნიმუში მე-2 დავალების შესასრულებლად:

გაყიდვები და სხვა ბიუჯეტები

ერთეულები

მარტი აპრილი მაისი ივნისი სულ

გაყიდვები:

საწარმოო დანახარჯები:

ნედლეული (FIFO-ს გამოყენებით)

ხელფასები და ცვლადი დანახარჯები

დებიტორები:

საბოლოო დებიტორები

კრედიტორები:

ივნისი

საბოლოო მარაგი:

ნედლეული

მზა პროდუქცია

გ) მონაცემები ამოხსნისათვის:

- 1) მიწითა და შენობებით უზრუნველყოფილი 7,5%-იანი 120000 ლარის სესხის აღების ვადა დადგება 1 მაისს. 112000 ლარის ღირებულების აღჭურვილობა მიღებული იქნება მაისში და მასზე გადახდა მოხდება ივნისში;
- 2) სესხზე პროცენტის გადახდა მოხდება ყოველ ექვს თვეში - დაწყებული სექტემბრიდან. შუალედური დივიდენდები 20X0 წლის 31 მარტამდე პერიოდისათვის 12500 ლარის ოდენობით გადახდილი იქნება ივნისში.

დავალება 3:

მოამზადეთ და წარმოადგინეთ ფულადი სახსრების ბიუჯეტი ყოველი თვისათვის.

გათვლების საწარმოებელი ფორმის ნიმუში მე-3 დავალების შესასრულებლად:

ფულადი სახსრების ბიუჯეტი

მარტი (ლარი)	აპრილი (ლარი)	მაისი (ლარი)	ივნისი (ლარი)
-----------------	------------------	-----------------	------------------

გადმოტანილი ნაშთი

პლუს: შემოსულობები

(დებიტორები)

სესხი

(A)

გადახდები:

კრედიტორები (ერთი თვის)

ხელფასები და ცვლადი ზ/დანახარჯი

მუდმივი ზედნადები დანახარჯი

აღჭურვილობა

შუალედური დივიდენდი

(B)

ნაშთი გადატანამდე (A) – (B)

დ) მონაცემები ამოხსნისათვის:

- 1) ამორტიზაცია ოთხი თვისათვის ახალი აღჭურვილობის ჩათვლით შეადგენს:
 - დანადგარები და აღჭურვილობა - 15733 ლარს
 - სატრანსპორტო საშუალებები - 3500 ლარს
- 2) ბეგარა უგულებელყოფილია.

დავალება 4:

მოამზადეთ ძირითადი ბიუჯეტი ანუ დაგეგმილი ანგარიშგება ვაჭრობის, მოგებისა და ზარალის შესახებ ოთხი თვისათვის 20X0 წლის 30 ივნისამდე, ასევე დაგეგმილი ბალანსი 20X0 წლის 30 ივნისისათვის.

გათვლების საწარმოებელი ფორმის ნიმუში მე-4 დავალების შესასრულებლად:

ნაერთი ბიუჯეტი
დაგეგმილი ანგარიშგება ვაჭრობის, მოგების და ზარალის შესახებ ოთხთვიანი
პერიოდისათვის, რომელიც მთავრდება 20X0 წლის 30 ივნისს

(ლარი)

(ლარი)

გაყიდვები

მინუს: გაყიდვების თვითღირებულება:

მზა პროდუქციის საწყისი მარაგი

პლუს: საწარმოო დანახარჯები

მინუს: მზა პროდუქციის საბოლოო მარაგი

მინუს: გასაღებები:

მუდმივი ზედნადები დანახარჯები

ამორტიზაცია:

დანადგარები და აღჭურვილობა

სატრანსპორტო საშუალებები

პროცენტი სესხზე (ორი თვის)

მინუს: შუალედური დივიდენდი

პლუს: მოგება-ზარალის ანგარიში

ნაშთი გატანამდე

ბიუჯეტური საბალანსო ანგარიშგება 20X0 წლის 30 ივნისისათვის

თავდაპირველი ღირებულება (ლარი)	ამორტიზაცია (ლარი)	წმინდა ღირებულება (ლარი)
--------------------------------------	-----------------------	--------------------------------

ძირითადი საშუალებები:

მიწა და შენობები

დანადგარები და აღჭურვილობა

სატრანსპორტო საშუალებები

სამუშაო კაპიტალი:

მიმდინარე აქტივები:

ნედლეული და მასალები

მზა პროდუქციის მარაგი

დებიტორები

ნაშთი სალაროში და ბანკში

მინუს: მიმდინარე ვალდებულებები:
კრედიტორები

ვალი სესხის პროცენტზე

გამოყენებული კაპიტალი:

ჩვეულებრივი აქციები (სრულად გადახდილი) 1ლ აქციაზე

საემისიო შემოსავალი

მოგება -ზარალის ანგარიშგება

უზრუნველყოფილი სესხი (7,5%)

დავალება 5:

შეიმუშავეთ რეკომენდაციები კომპანიისათვის, ფულადი სახსრების მართვის დახვეწისთვის.

ამოხსნა:

პასუხი 1-ლი დავალებისათვის

	მარაგის ბიუჯეტი			
	ერთეულები			
	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
ნედლეული:				
საწყისი მარაგი	100	110	115	110
პლუს: შესყიდვები	80	80	85	85
	-----	-----	-----	-----
	180	190	200	195
მინუს: წარმოებაში გამოყ. ნედლეული	70	75	90	90
	-----	-----	-----	-----
საბოლოო მარაგი	110	115	110	105

მზა პროდუქცია:

საწყისი მარაგი	110	100	91	85
პლუს: წარმოება	70	75	90	90
	-----	-----	-----	-----
	180	175	181	175
მინუს: გაყიდვები	80	84	96	94
	-----	-----	-----	-----
საბოლოო მარაგი	100	91	85	81

პასუხი მე-2 დავალებისათვის**გაყიდვები და სხვა ბიუჯეტები****ერთეულები**

	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	სულ
გაყიდვები	17520	18396	21024	20586	77526
	(80 * 219)	(84 * 219)	(96 * 219)	(94 * 219)	

საწარმოო დანახარჯები:

ნედლეული (FIFO-ს გამოყენებით)	3024	3321	4050	4050	14445
	(გ-1)	(გ-2)	(გ-3)	(გ-3)	
ხელფასები და ცვლადი დანახარჯები	4450	4875	5850	5850	21125
	-----	-----	-----	-----	
	7574	8196	9900	9900	35570

დებიტორები:

საბოლოო დებიტორები	41610
	(გ-4)

კრედიტორები:

ივნისი	3825
--------	------

(გ-5)

საბოლოო მარაგი:

ნედლეული

4725

(გ-6)

მზა პროდუქცია

8910

(გ-7)

გათვლები:

გათვლა 1: - პირობის თანახმად ვიცით, რომ ნედლეულის საწყისი მარაგი 100 ერთეულია, რომლის ღირებულება არის 4320 ლარი. გამოდის რომ ერთეული მარაგის ღირებულება იქნება $4320/100 = 43,2$ ლარი. მარტის თვეში მარაგის 100 ერთეულიანი პარტიიდან წარმოებაში გამოყენებულია 70 ერთეული მარაგი, რომლის ერთეულის ღირებულება როგორც ვთქვით 43,2 ლარის ტოლია, ხოლო გამოყენებული მარაგის მთლიანი ღირებულება იქნება:

$$70 * 43,20 = 3024 \text{ ლარი}$$

დარჩენილი მარაგის ოდენობა იქნება: $100 - 70 = 30$ ერთეული საერთო ღირებულებით:

$$30 * 43,20 = 1296 \text{ ლარი}$$

გათვლა 2: - აპრილში წარმოებაში გამოყენებულია 75 ერთეული მარაგი. FIFO მეთოდის პრინციპის თანახმად ამ მარაგიდან 30 ერთეული იქნება 1296 ლარის საერთო ღირებულებით (ანუ ერთეულის ღირებულება 43,20 ლარი) დარჩენილ 45 ერთეულის საერთო ღირებულება გამოდინარე იქედან, რომ ერთეული მარაგის შემენის ფასი პირობის თანახმად 45 ლარს უდრის, ტოლი იქნება $45 * 45 = 2025$ ლარი, ხოლო აპრილში გამოყენებული მარაგის საერთო ოდენობა ლარებში გამოვა:

$$1296 + 2025 = 3321 \text{ ლარი}$$

გათვლა 3: - აპრილის თვეში განხორციელებული წარმოების პროცესის შემდეგ 43,20 ლარიანი მარაგი ამოწურულია და წარმოებაში გაეშვება მხოლოდ 45 ლარად შემენილი მარაგი. მაისში და ივნისში წარმოების პროცესში ცალ-ცალკე გახარჯულია 90 ერთეული ნედლეული. გამოდის, რომ ამ თვეებში წარმოებაში გამოყენებული ნედლეულის ღირებულება ცალ-ცალკე ტოლი იქნება:

$$90 * 45 = 4050 \text{ ლარი}$$

გათვლა 4: - ამოცანის პირობის თანახმად ცნობილია, რომ ყველა გაყიდვა ხორციელდება კრედიტში და დებიტორებს წარედგინებათ ორთვიანი კრედიტი. გამოდის რომ ივნისის ბოლის საბოლოო დებიტორების მთლიანი ოდენობა გაუტოლდება მაისში და ივნისში განხორციელებული გაყიდვების ჯამურ ოდენობას:

$$21024 + 20586 = 41610 \text{ ლარი}$$

გათვლა 5: - ამოცანის პირობის თანახმად ცნობილია, რომ ყველა შესყიდვა ხორციელდება კრედიტში და ნედლეულის მოწოდების განაღდება ხდება ერთთვიანი კრედიტის შემდეგ. გამოდის რომ ივნისის ბოლის საბოლოო კრედიტორის მთლიანი ოდენობა გაუტოლდება

ივნისში განხორციელებული შესყიდვის ოდენობას. ივნისში შესყიდული ნედლეულის ოდენობა 85 ერთეულია და ერთეულის შესყიდვის ფასი არის 45 ლარი. გამოდის რომ საბოლოო კრედიტორი უდრის

$$85 * 45 = 3825 \text{ ლარი}$$

გათვლა 6: - საბოლოო მარაგის ოდენობა არის 105 ერთეულია, რომლის საერთო ღირებულება იქნება:

$$105 * 45 = 4725 \text{ ლარი}$$

გათვლა 7: - ამოცანის პირობიდან ცნობილია, რომ მზა პროდუქციის მარაგი შეფასებულია ცვლადი დანახარჯებით. ცვლად დანახარჯებში შედის წარმოებაში გაშვებული მარაგის ღირებულება, ხელფასები და წარმოების ცვლადი დანახარჯები. ეს სიდიდე ჩვენ უკვე გავთვალეთ, და მივიღეთ, რომ ივნისის თვის ბოლოს ეს დანახარჯი 9900 ლარის ტოლია წარმოების 90 ერთეულიანი მოცულობის პირობებში. გამოდის, რომ ერთეული მზა პროდუქციის თვითღირებულება ცვლად დანახარჯთა კალკულაციის შესაბამისად ტოლი იქნება:

$$9900 / 90 = 110 \text{ ლარი}$$

მზა პროდუქციის საბოლოო მარაგი 81 ერთეულია, რომლის ოდენობა ფულად განზომილებაში ტოლი იქნება:

$$81 * 110 = 8910 \text{ ლარის}$$

ამით ამოცანის მე-2 დავალებას პასუხი გაეცა.

პასუხი მე-3 დავალებისათვის:

გავითვალისწინოთ, რომ მარტის თვის დასაწყისში არსებული ფულადი ნაშთის ოდენობა იქნება ის, რაც იყო ნაშთი სალაროში და ბანკში ამოცანის პირობის მიხედვით, ეს არის 6790 ლარი. ამასთანავე გავითვალისწინოთ, რომ მარტის თვის ბოლოსათვის არსებული ფულის ნაშთი საწყისი ნაშთი იქნება აპრილის თვისთვის, აპრილის თვის საბოლოო ნაშთი საწყისი ნაშთი იქნება მაისით თვისათვის და ბოლოს მაისის თვის სდაბოლოო ფულადი ნაშთი საწყისი ნაშთი იქნება ივნისის თვისათვის.

ფულადი სახსრების ბიუჯეტი

	მარტი (ლარი)	აპრილი (ლარი)	მაისი (ლარი)	ივნისი (ლარი)
გადმოტანილი ნაშთი	6790	4820	5545	132415
პლუს: შემოსულობები				
დებიტორები	7680 (გ-1)	10400 (გ-3)	17520 (გ-5)	18396 (გ-7)
სესხი	--	--	120000	
	-----	-----	-----	-----
	14470	15220	143065	150811

(A)

გადახდები:

კრედიტორები (ერთი თვის)	3900 (გ-2)	3600 (გ-4)	3600 (გ-6)	3825 (გ-8)
ხელფასები და ცვლადი ზ/დანახარჯი	4550	4875	5850	5850
მუდმივი ზედნადები დანახარჯი	1200	1200	1200	1200
აღჭურვილობა	--	--	--	112000
შუალედური დივიდენდი	--	--	--	12500
	-----	-----	-----	-----
	9650	9675	10650	135375

(B)

ნაშთი გადატანამდე (A) – (B)	4820	5545	132415	15436
-----------------------------	------	------	--------	-------

გათვლები:

გათვლა 1: - პირობის თანახმად დებიტორული ვალდებულებების ანაზღაურება ხდება ორი თვის შემდეგ. ამიტომ მარტის თვეში გადახდა მოხდება იანვრის თვის დებიტორისგან, რომელიც პირობის მიხედვით არის 7680 ლარი.

გათვლა 2: - პირობის თანახმად კრედიტორული ვალდებულებების დაფარვა ხდება 1 თვის შემდეგ ამიტომ მარტში მოხდება თებერვლის თვის კრედიტორული ვალდებულებების უზრუნველყოფა, რომელიც ამოცანის პირობაში მოცემული საბოლოო კრედიტორის ნაშთს - 3900 ლარს გაუტოლდება.

გათვლა 3: - აპრილის თვეში მოხდება გადახდა თებერვლის თვის დებიტორისგან, რომელიც პირობის თანახმად 10400 ლარის ტოლია.

გათვლა 4: - აპრილის თვეში კომპანია გადაიხდის მარტში აღებულ კრედიტორულ ვალდებულებას. მარტის თვეში შეძენილია 80 ერთეული მარაგი, ერთეულის ღირებულება არის 45 ლარი. გამოდის რომ მარტში აღებული კრედიტორული ვალდებულება იქნება:

$$80 * 45 = 3600 \text{ ლარი}$$

გათვლა 5: - მაისის თვეში მოხდება გადახდა მარტის თვის დებიტორისგან, რომელიც ტოლია იქნება მარტის თვეში განხორციელებული რეალიზაციის. მარტში რეალიზებულია 80 ერთეული მზა პროდუქცია და ერთეულის სარეალიზაციო ფასი არის 219 ლარი. ე.ი. დებიტორის ოდენობა იქნება:

$$80 * 219 = 17520 \text{ ლარი}$$

გათვლა 6: - მაისის თვეში კომპანია გადაიხდის აპრილში აღებულ კრედიტორულ ვალდებულებას. აპრილის თვეში შეძენილია 80 ერთეული მარაგი, ერთეულის ღირებულება არის 45 ლარი. გამოდის რომ აპრილში აღებული კრედიტორული ვალდებულება იქნება:

$$80 * 45 = 3600 \text{ ლარი}$$

გათვლა 7: - ივნისის თვეში მოხდება გადახდა აპრილის თვის დებიტორისგან, რომელიც ტოლია იქნება აპრილის თვეში განხორციელებული რეალიზაციის. აპრილში რეალიზებულია 84 ერთეული მზა პროდუქცია და ერთეულის სარეალიზაციო ფასი არის 219 ლარი. ე.ი. დებიტორის ოდენობა იქნება:

$$84 * 219 = 18396 \text{ ლარი}$$

გათვლა 8: - ივნისის თვეში კომპანია გადაიხდის მაისში აღებულ კრედიტორულ ვალდებულებას. მაისის თვეში შეძენილია 85 ერთეული მარაგი, ერთეულის ღირებულება არის 45 ლარი. გამოდის რომ მაისში აღებული კრედიტორული ვალდებულება იქნება:

$$85 * 45 = 3825 \text{ ლარი}$$

პასუხი მე-4 დავალებისათვის:

ნაერთი ბიუჯეტი		
დაგეგმილი ანგარიშგება ვაჭრობის, მოგების და ზარალის შესახებ ოთხთვიანი პერიოდისათვის, რომელიც მთავრდება 20X0 წლის 30 ივნისს		
	(ლარი)	(ლარი)
გაყიდვები (4 თვის)		77526
მინუს: <u>გაყიდვების თვითღირებულება:</u>		
მზა პროდუქციის საწყისი მარაგი	10450	
პლუს: საწარმოო დანახარჯები	35570	
	(გ-1)	
მინუს: მზა პროდუქც. საბოლ. მარაგი	8910	
	(გ-2)	
		37110 (გ-3)

		40416

მინუს: გასაღვლები:

მუდმივი ზედნადები დანახარჯები (4 თვის)

4800 (გ-4)

ამორტიზაცია:

დანადგარები და აღჭურვილობა

15733

სატრანსპორტო საშუალებები

3500

პროცენტი სესხზე (ორი თვის)

1500 (გ-5)

მინუს: შუალედური დივიდენდი

12500

2383 (გ-6)

პლუს: მოგება-ზარალის ანგარიშის
ნაშთი გატანამდე

40840 (გ-7)

43223 (გ-8)

ბიუჯეტური საბალანსო ანგარიშგება 20X0 წლის 30 ივნისისათვის

	თავდაპირველი ღირებულება (ლარი)	ამორტიზაცია (ლარი)	წმინდა ღირებულება (ლარი)
<u>ძირითადი საშუალებები:</u>			
მიწა და შენობები	500000	--	500000
დანადგარები და აღჭურვილობა	236000	100233	135767
სატრანსპორტო საშუალებები	42000	19900	22100
	----- 778000	----- 120133	----- 657867

სამუშაო კაპიტალი:

მიმდინარე აქტივები:

ნედლეული და მასალები

4725

მზა პროდუქციის მარაგი

8910

დებიტორები

41610

ნაშთი სალაროში და ბანკში

15436

70681

მინუს: მიმდინარე ვალდებულებები:

კრედიტორები 3825

ვალი სესხის პროცენტზე 1500

5325_(გ-9)

65356 _(გ-10)

723223 _(გ-11)

გამოყენებული კაპიტალი:

ჩვეულებრივი აქციები (სრულად გადახდილი) 1ლ აქციაზე 500000

საემისიო შემოსავალი 60000

მოგება -ზარალის ანგარიშგება 43223

უზრუნველყოფილი სესხი (7,5%)

603223 _(გ-12)

120000

723223 _(გ-13)

გათვლები:

გათვლა 1: - გაყიდვების ბიუჯეტში ჩვენ უკვე გავთვალეთ, რომ სულ საწარმოო დანახარჯი იყო 35570 ლარი.

გათვლა 2:- გაყიდვების ბიუჯეტში გავთვალეთ მზა პროდუქციის საბოლოო მარაგი რომელიც არის 8910 ლარი.

გათვლა 3: - $10450 + 35570 - 8510 = 37110$ ლარი

გათვლა 4: - $1200 * 4 = 2800$ ლარი

გათვლა 5:- $(120000 * 7,5\%) / 12$ თვეზე * 2 თვეზე = 1500 ლარი

გათვლა 6: - $40416 - 4800 - 15733 - 3500 - 1500 - 12500 = 2383$ ლარი

გათვლა 7: - საბალანსო მონაცემებიდან ცნობილია, რომ მოგება-ზარალის ანგარიში 20X0 წლის 1 მარტისათვის იყო 40840 ლარი.

გათვლა 8: - $2383 + 40840 = 43223$ ლარი

გათვლა 9: - $3825 + 1500 = 5325$ ლარი

გათვლა 10: - $70681 - 5325 = 65356$ ლარი

გათვლა 11: - $6578867 + 65356 = 7232223$ ლარი

გათვლა 12: - $500000 + 60000 + 43223 = 603223$ ლარი

გათვლა 13: - $303223 + 120000 = 723223$ ლარი

პასუხი მე-5 დავალებისათვის:

შესაძლებელია კომპანიის საკრედიტო კონტროლის დახვეწა. ამჟამად მოითხოვება დაახლოვებით ორი თვე დებიტორული დავალიანების მიღებისათვის იმ დროს, როცა კრედიტორებზე გადახდა ერთი თვის განმავლობაში ხდება. აუცილებელია ძალისხმევის გაწევა დავალიანებების უფრო სწრაფად ამოღებისათვის ყოველგვარი ფასდათმობის გარეშე, რადგან ასეთი ფასდათმობები საკმაოდ ძვირი ჯდება. ამის გაკეთება, მაგალითად, შესაძლებელია ანგარიშ-ფაქტურების სწრაფად გამოწერით, მათზე თვალყურის მიდევნებით, რომლებიც მზად არიან დროულად გადახდაზე და ა.შ. შესაძლებელია კრედიტორებზე გადახდის გაჭიანურებაც იმ პირობით, თუკი ეს გამოიწვევს დროულად გადახდებისათვის შეღავათების დაკარგვას. დროულად გადახდაზე უმნიშვნელო ფასდათმობასაც კი უდიდესი გავლენა აქვს პროცენტებზე წლიურ დანახარჯებზე.

კომპანიას შეუძლია შექმნას მეტი ფულადი სახსრები ზედმეტი აქტივების, მაგალითად, ნედლეულისა ან/და მზა პროდუქციის არასაჭირო მარაგის, საწარმოო ან/და საოფისე აღჭურვილობის გამოვლენისა და გაყიდვის გზით იმ პირობით, რომ მათზე მოიძებნება მყიდველები. ზედმეტი აქტივებზე მყიდველების მოძებნა არც ისე იოლი იქნება. სხვა სარგებელი, რომელიც შესაძლებელია მიღებული იქნეს ნამეტი აქტივების გასხვისებით, შეიძლება იყოს ის, რომ გამოთავისუფლდება ფასეული საწარმოო, საოფისე ან სასაწყობო ფართი. შესაძლოა ასევე მიღებული იქნეს ამ აქტივების გასხვისების გამო სადაზღვეო შენატანის შემცირება მომდევნო ვადისათვის.

კომპანიის ფულადი სახსრების პოზიცია შესაძლებელია გაუმჯობესდეს ასევე ნასესხები სახსრების ხარჯზე დაფინანსების გზითაც. კომპანია უმნიშვნელო ხარისხითაა დამოკიდებული ნასესხებ სახსრებზე და მისი ძირითადი საშუალებების უდიდესი ნაწილი არ იქნა ჩადებული უზრუნველსაყოფად. ეს უნდა დაეხმაროს კომპანიას სარგებელი მიიღოს დაბალი ღირებულების დაფინანსებიდან, მაგალითად, უზრუნველყოფილი სესხებიდან ან ობლიგაციიდან. მაგრამ მაშინ კომპანია აღმოჩნდება რისკის გაცილებით მაღალ პირობებში, რომელიც გამოწვეული იქნება ვალდებულებებით - მოხდეს კაპიტალისა და პროცენტების რეგულარული გადახდები.

კომპანიის ხელმძღვანელობამ შესაძლოა ასევე განიხილოს აქტივების დაფინანსების სხვა გზებიც, მაგალითად, შენობისა და აღჭურვილობის მოკლევადიანი ან გრძელვადიანი იჯარა. ეს დაეხმარება კომპანიას მიიღოს ფულადი სახსრები ამ აღჭურვილობიდან.

დასასრულ, კომპანიამ შესაძლოა გადაწყვიტოს უფრო ფართოდ გამოიყენოს ქვემოიჯარეები იმგვარად, რომ გამოთავისუფლდეს გაფართოებისათვის საჭირო დაფინანსების დამატებითი სახსრების ძიებისაგან. ქვემოიჯარეები დაფინანსებენ აუცილებელი ძირითადი საშუალებების შეძენას, შრომის ანაზღაურებას, ნედლეულის, დაუმთავრებელი წარმოებისა და მზა პროდუქციის მარაგის შეძენასა და შენახვას, ასეთ შემთხვევაში, კომპანიის პრობლემა იქნება მომწოდებლებზე ხარისხის კონტროლის განხორციელება.

საკონტროლო კითხვები:

- 1) რისი ტოლია ნედლეულის საბოლოო მარაგი ერთეულებში აპრილის თვისათვის?
პასუხი: 115 ერთეული;
- 2) რისი ტოლია მზა პროდუქციის საბოლოო მარაგი ერთეულებში ივნისის თვისათვის?
პასუხი: 81 ერთეული;
- 3) რას უდრის საბოლოო დებიტორი ივნისის თვის ბოლოს?
პასუხი: 41610 ლარი;
- 4) რისი ტოლია აპრილის თვეში წარმოებაში გამოყენებული ნედლეულის ოდენობა ფულად ექვივალენტებში?
პასუხი: 3321 ლარი;
- 5) რას უდრის ფულადი შემოსულობები მაისის თვეში?
პასუხი: 137520 ლარი;
- 6) რისი ტოლია გადახდები ივნისის თვისათვის?
პასუხი: 135375 ლარი;
- 7) რას უდრის საბიუჯეტო საბალანსო ანგარიშგების მონაცემების მიხედვით აქტივებს გაკლებული ვალდებულებების ნაშთი ფულად გამოსახულებაში?
პასუხი: 723223 ლარი.

ამოცანა 5:

კომპანია „პროგრესი“ დანადგარის შეძენის ორ პროექტს, იმ მიზნით, რომ შეიძინოს ერთ-ერთი. უპირატესობის გამოსავლენად გვაქვს შემდეგი იჰფორმაცია:

მონაცემები ამოხსნისათვის:

- 1) დანადგარი „სტანდარტული“ მოდელი ღირს 50000 ლარი, ხოლო დანადგარი „ლუქსი“ მოდელი ღირს 88000 ლარი;
- 2) გადახდა ხდება თავდაპირველად, ერთდროულად;
- 3) სასარგებლო მომსახურების ვადა: „სტანდარტული“ - 4 წელი; „ლუქსი“ - 6 წელი.
- 4) სალიკვიდაციო ღირებულება არცერთ დანადგარს არ რჩება;
- 5) ცვეთის პოლიტიკა არის წრფივი მეთოდით;
- 6) დანადგარების გამოყენებიდან წინასწარ გათვლილი ფულადი შემოსულობების პროგნოზი ასეთია:

	1-ლი წელი	მე-2 წელი	მე-3 წელი	მე-4 წელი	მე-5 წელი	მე-6 წელი
სტანდარტული	20500	22860	24210	23410	-	-
ლუქსი	32030	26110	25380	25940	38560	35100

- 7) უკუგების განაკვეთი იანგარიშება „სტანდარტულზე“ - 12%-ით, ხოლო რადგანაც „ლუქსი“ ახალია ბაზარზე, მისი ექსპლოატაციის მაღალი რისკის გამო, უკუგების განაკვეთი 14 %-ია;
- 8) საგადასახადო განაკვეთი საოპერაციო შედეგზე (ფულადი ნაკადის ნამეტზე) 35%-ია, მისი გადახდა ხდება მომდევნო წელს.

დავალბა 1:

გაიანგარიშეთ ორივე მოდელისათვის:

- ა) უკუგების პერიოდი (დისკონტირებული თანხის მეთოდით);
- ბ) წმინდა მიმდინარე ღირებულება.

მონაცემები ამოხსნისათვის:

წინა პირობიდან მოდელი „სტანდარტული“ შეიძლება შეძენის ნაცვლად აღებული იქნას იჯარით.

- 1) იჯარის წლიურუ გადახდელი - 13000 ლარია;
- 2) იჯარის ვადა 4 წელი;
- 3) უკუგების (დისკონტის) განაკვეთი ისევ 12%-ია და მოგების გადასახადი 35%.

დავალბა 2:

მიიღეთ გადაწყვეტილება , დანადგარი იჯარით აიღოს კომპანიამ თუ შეიძინოს.

ამოხსნა:

თავდაპირველად გავიანგარიშოთ საგადასახადო ვალდებულების ოდენობა თითოეული პროექტისათვის.

პირობაში მოცემულია დანადგარების გამოყენებიდან წინასწარ გათვლილი ფულადი შემოსულობების პროგნოზი და ასევე ცვეთისგანგარიშების პოლიტიკა.

ცვეთა წრფივი მეთოდით ერიცხება თითოეულ დანადგარს და ცნობილია რომ სალიკვიდაციო ღირებულება თითოეულისათვის ნულის ტოლია. გამომდინარე აქედან ცვეთის ყოველწლიური ნორმა მთელებამდე სიზუსტით მოდელი „სტანდარტულისათვის“ იქნება:

$$50000 / 4 \text{ წლზე} = 12500 \text{ ლარი}$$

მოდელი „ლუქსისათვის“ იქნება:

$$88000 / 6 = 14667 \text{ ლარი.}$$

რაც შეეხება საგადასახადო ვალდებულებას, „სტანდარტული“ მოდელისათვის წლების მიხედვით იქნება:

წელი	1-ლი წელი	მე-2 წელი	მე-3 წელი	მე-4 წელი
საპროგნოზო ფულადი ნაკადები	20500	22860	24210	23410
ცვეთა	12500	12500	12500	12500
შედგენი	$20500 - 12500 = 8000$	$22860 - 12500 = 10360$	$24210 - 12500 = 11710$	$23410 - 12500 = 10910$
საგადასახადო ვალდებულება (35%)	$8000 * 35\% = 2800$	$10360 * 35\% = 3626$	$11710 * 35\% = 4099$	$10910 * 35\% = 3819$

იგივე მეთოდებით საგადასახადო ვალდებულებ მოდელი „ლუქსისათვის“ იქნება:

წელი	1-ლი წელი	მე-2 წელი	მე-3 წელი	მე-4 წელი	მე-5 წელი	მე-6 წელი
საპროგნოზო ფულადი ნაკადები	32030	26110	25380	25940	38560	35100
ცვეთა	14667	14667	14667	14667	14667	14667
შედგენი	17363	11443	10713	11273	23893	20435
საგადასახადო ვალდებულება (35%)	6077	4005	3750	3946	8363	7152

ახლა გავიანგარიშოთ ფულადი შემოსულობები დისკონტირებული ანუ მიმდინარე ღირებულება, რაც იგივე იქნება რაც პროექტის მიმდინარე ღირებულება. ამ გათვლების შედეგად შესაძლებელი იქნება აგრეთვე პროექტების წმინდა მიმდინარე ღირებულებების გათვლა.

აქაც გამოვიყენოთ ცხრილები

წელი	მოდელი „სტანდარტული“				
	დისკონტის კოეფიციენტი. (12%-ზე)	საპროგნოზო შემოსულობა	გადასახადი	ფულადი ნაკადი გადასახადის შემდეგ	პროექტის დისკონტირებული ღირებულება
1	0,8929	20500	-	20500	18304
2	0,7972	22860	(2800)	20060	15992

3	0,7118	24210	(3626)	20584	14652
4	0,6355	23410	(4099)	19311	12272
5	0,5674	-	(3819)	(3819)	(2167)
შემოსულობების მიმდინარე ღირებულება სულ					59053
ინვესტიციის ღირებულება					50000
წმინდა მიმდინარე ღირებულება					9053

წელი	მოდელი „ლუქსი“				
	დისკონტის კოეფიციენტი (14%-ზე)	საპროგნოზო შემოსულობა	გადასახადი	ფულადი ნაკადი გადასახადის შემდეგ	პროექტის დისკონტირებული ღირებულება
1	0,8772	32030	-	32030	28097
2	0,7695	26110	(6077)	20033	15415
3	0,6750	25380	(4005)	21375	14428
4	0,5921	25940	(3750)	22190	13139
5	0,5194	38560	(3946)	34614	17979
6	0,4556	35100	(8363)	26737	12181
7	0,3996	-	(7152)	(7152)	(2858)
შემოსულობების მიმდინარე ღირებულება სულ					98381
ინვესტიციის ღირებულება					88000
წმინდა მიმდინარე					10381

ამ გათვლების შემდეგ შესაძლებელია თიოთეული პროექტისათვის ცალ-ცალკე გავთვალოთ უკუგების პერიოდი (იგივე თვითანაზღაურების) პერიოდი გზით დათვლილი შემოსულობების მიხედვით.

უკუგების პერიოდი ეს არის პერიოდი რომლის განმავლობაშიც პროექტმა თავისი თავი უნდა გამოისყიდოს.

უკუგების პერიოდის გათვლა შესაძლებელია შემდეგნაირად:

თუ პირველი წლის შემოსულობა ვერ ანაზღაურებს ინვესტიციის მოცულობას, შემოსულობის ამ ოდენობას ემატება თანდათანობით მომავალი წლების შემოსულობები მანამ, სანამ მათი ჯამი არ გაუტოლდება ან არ გადააჭარბებს ინვესტიციის მოცულობას. წელი როცა ეს მოხდება იქნება უკუგების პერიოდის უკიდურესი ზღვარი.

გავთვალოთ უკუგების პერიოდი პირველი პროექტისათვის (მოდელი „სტანდარტულისათვის“) ჩვეულებრივად გათვლილი შემოსულობების შესაბამისად.

პირველი ოთხი წლის შემოსულობათა დისკონტირებული ოდენობების ჯამი იქნება:

$$18304 + 15992 + 14652 + 12272 = 61220 \text{ ლარი}$$

შემოსულობის ეს ოდენობა მეტია (უკვე აჭარბებს) მოდელი „სტანდარტულის“ ღირებულებას 50000 ლარს, ამიტომ უკუგების პერიოდის უკიდურესი ზღვარი არის 4 წელი.

პირველი სამი წლის შემოსულობათა ჯამი არის:

$$18304 + 15992 + 14652 = 48948 \text{ ლარი}$$

პირველ სამ წელს მიღებული შემოსულობების შემდეგ მთლიანი 50000 ლარიდან (ანუ მთლიანი ინვესტიციიდან) დარჩენილი დასაფარი თანხა იქნება:

$$50000 - 48948 = 1052 \text{ ლარი}$$

მეოთხე წლის შემოსულობის დისკონტირებული ოდენობა წელიწადში არის 12272 ლარი. გამომდინარე აქედან ერთი თვის შემოსულობის ოდენობა ამ წელში მთელეზამდე სიზუსტით იქნება:

$$12272 / 12 = 1023 \text{ ლარი}$$

1052 ლარის დასაფარად საჭირო დრო მეოთხე წელს მთელეზამდე სიზუსტით იქნება:

$$1052 / 1023 = 1 \text{ თვე}$$

გამოდის, რომ უკუგების პერიოდი დისკონტირებული თანხის მეთოდით არის 3 წელი და 1 თვე.

იგივე გათვლები ვაწარმოთ ახლა მოდელი „ლუქსისათვის“ და გავიანგარიშოთ უკუგების პერიოდი ამ ინვესტიციისათვისაც დისკონტირებული თანხის მეთოდით.

პირველი ხუთი წლის შემოსულობათა დისკონტირებული ოდენობების ჯამი იქნება:

$$28097 + 15415 + 14428 + 13139 + 17979 = 89058 \text{ ლარი}$$

შემოსულობის ეს ოდენობა მეტია (უკვე აჭარბებს) მოდელი „ლუქსის“ ღირებულებას 88000 ლარს, ამიტომ უკუგების პერიოდის უკიდურესი ზღვარი არის 5 წელი. პირველი ოთხი წლის შემოსულობათა ჯამი არის:

$$28097 + 15415 + 14428 + 13139 = 71079 \text{ ლარი}$$

პირველ ოთხ წელს მიღებული შემოსულობების შემდეგ მთლიანი 88000 ლარიდან (ანუ მთლიანი ინვესტიციიდან) დარჩენილი დასაფარი თანხა იქნება:

$$88000 - 71079 = 16921 \text{ ლარი}$$

მეხუთე წლის შემოსულობის დისკონტირებული ოდენობა წელიწადში არის 17979 ლარი. გამომდინარე აქედან ერთი თვის შემოსულობის ოდენობა ამ წელში მთელეზამდე სიზუსტით იქნება:

$$17979 / 12 = 1498 \text{ ლარი}$$

16921 ლარის დასაფარად საჭირო დრო მეოთხე წელს მთელეზამდე სიზუსტით იქნება:

$$16921 / 1498 = 11 \text{ თვე}$$

გამოდის, რომ უკუგების პერიოდი დისკონტირებული თანხის მეთოდით არის 4 წელი და 11 თვე.

ამით ამოცანის პირველ დავალებას პასუხი გაეცა.

ახლა განვიხილოთ ამოცანის მე-2 დავალება, ანუ სიტუაცია, როცა მოდელი „სტანდარტული“ აღებული იქნება იჯარით.

თავდაპირველად გავიანგარიშოთ საგადასახადო ვალდებულების ოდენობა ამ პროექტისათვის.

გამოვიყენოთ შემდეგი ცხრილის ფორმა

წელი	1-ლი წელი	მე-2 წელი	მე-3 წელი	მე-4 წელი
საპროგნოზო ფულადი ნაკადები	20500	22860	24210	23410
საიჯარო გადასახდელი	13000	13000	13000	13000
შედგენი	$20500 - 13000 = 7500$	$22860 - 13000 = 9860$	$24210 - 13000 = 11210$	$23410 - 13000 = 10410$
საგადასახადო ვალდებულება (35%)	$7500 * 35\% = 2625$	$9860 * 35\% = 3451$	$11210 * 35\% = 3924$	$10410 * 35\% = 3644$

ამის შემდეგ გავიანგარიშოთ პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულება. გავითვალისწინოთ, რომ ფულად დანახარჯებში აქ საგადასახადო ვალდებულებასთან ერთად იქნება საოჯარო გადასახდელებიც.

წელი	მოდელი „სტანდარტული“					
	დისკონტის კოეფიციენტი. (12%-ზე)	საპროგნოზო შემოსულობა	იჯარის გადასახადი	გადასახადი	ფულადი ნაკადი გადასახადის შემდეგ	პროექტის დისკონტირებული ღირებულება
1	0,8929	20500	13000	-	7500	6697
2	0,7972	22860	13000	(2625)	7235	5768
3	0,7118	24210	13000	(3451)	7759	5523
4	0,6355	23410	13000	(3924)	6486	4122
5	0,5674	-	-	(3644)	(3644)	(2068)
შემოსულობების მიმდინარე ღირებულება სულ						20042
ინვესტიციის ღირებულება						0
წმინდა მიმდინარე ღირებულება						20042

მაშასადამე მივიღეთ, რომ მოდელი „სტანდარტულისათვის“ ყიდვის შემთხვევაში წმინდა მიმდინარე ღირებულება არის 9053 ლარი, ხოლო იჯარით აღების შემთხვევაში კი მივიღეთ წმინდა მიმდინარე ღირებულება არის 20042-ის ტოლი. გამოდის რომ კომპანიისათვის უფრო ხელსაყრელია მოდელი „სტანდარტულის“ იჯარით აღება.

საკონტროლო კითხვები:

- 1) რას უდრის გადასახდელი საგადასახადო ვალდებულება მოდელი „სტანდარტულის“ შემთხვევაში (შემენის პროექტის მიხედვით) მე-3 წელს?
პასუხი: 3626 ლარი
- 2) რას უდრის საგადასახადო ვალდებულება მოდელი „ლუქსისათვის“ მე-2 წლის შედეგების მიხედვით?
პასუხი: 4005 ლარი
- 3) რას უდრის მოდელი „ლუქსისათვის“ უკუგების პერიოდის უკიდურესი ზღვარი?
პასუხი: 5 წელი
- 4) რისი ტოლია გადასახდელი საგადასახადო ვალდებულება მოდელი „სტანდარტულის“ შემთხვევაში (იჯარით აღების პროექტის მიხედვით) მე-2 წელს?
პასუხი: 2625 ლარი
- 5) რისი ტოლია მოდელი „სტანდარტულის“ იჯარით აღების პროექტისათვის ფულადი შემოსულობები მე-3 წელს იჯარის თანხისა და საგადასახადო ვალდებულების გადახდის შემდეგ?
პასუხი: 7759 ლარი
- 6) რისი ტოლია მოდელი „სტანდარტულის“ იჯარით აღების პროექტისათვის ფულადი შემოსულობების მიმდინარე ღირებულებების ჯამური ოდენობა?
პასუხი: 20042 ლარი

ამოცანა 6:

„მირაჟი“ არის პატარა კომპანია, რომელიც ხუთი წელია მოღვაწეობს. მიმდინარე წლის ბრუნვამ შეადგინა 875000 ლარი. მომსახურე ბანკმა დირექტორთა საბჭოს სთხოვა მიეწოდებინა საშუალოვადიანი დაფინანსების უახლოესი 3 წლის გეგმა.

ფინანსური მენეჯერის მიერ წარმოდებული სტატისტიკური ანალიზი ბოლო ორი ფინანსური წლისათვის ასეთია:

გაყიდული საქონლის თვითღირებულება	გაყიდვების - 75%
სხვა ხარჯები (პროცენტების გამოკლებით)	5000 ლარს + გაყიდვების 18%
ნაღდი ფული წლის ბოლოს	მინიმუმ გაყიდვების - 1%
დებიტორები წლის ბოლოს	10000 ლარს + გაყიდვების - 20%
მარაგი წლის ბოლოს	12000 ლარს + გაყიდვების - 25%
კრედიტორები წლის ბოლოს	გაყიდვების - 35%

ძირითადი საშუალებები ახლა არის - 410000 ლარის, ნაღდი ფული - 9000 ლარი. გაყიდვები მოსალოდნელია გაიზარდოს 15%-ით ყოველ წელს შემდეგი ორი წლის განმავლობაში და 15 ან 25 პროცენტით - მესამე წელს, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად სწრაფად გამოვა ეკონომიკა რეცესიიდან.

ახლა არსებული ძირითადი საშუალება აკმაყოფილებს საწარმოს მოთხოვნას წელიწადში 1100000 ლარამდე რეალიზაციის ფარგლებში. რეალიზაციის უფრო მეტად გაზრდის შემთხვევაში მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭირო იქნება დამატებით ახალი მოწყობილობების შეძენა წლის დასაწყისშივე, რომელიც 200000 ლარი ღირს.

კომპანიის არსებული კაპიტალის სტრუქტურა:

ჩვეულებრივი აქციები	200000 ლარი
რეზერვები	149000 ლარი
12%-იანი საბანკო სესხი	180000 ლარი

529000 ლარი	

ოვერდრაფტის გამოყენება ამჟამად არ ხდება, მაგრამ შესაძლებელია მისი გამოყენება 50000 ლარის ფარგლებში. მიმდინარე ოვერდრაფტის საპროცენტო განაკვეთი არის წლიური 10%. გრძელვადიანი სესხისათვის წლიური განაკვეთი იქნება 11%.

სხვა ინფორმაცია:

- 1) მოგების გადასახადი 25%
- 2) საბანკო სესხზე შემზღუდველი პირობები: ა) ლიკვიდობის მიმდინარე კოეფიციენტი - 1,3 და ბ) ლევერიჯი (გრძელვადიანი სესხების შეფარდება აქციონერთა კაპიტალთან) - 80%-მდე.
- 3) ნაღდი ფული ინახება უპროცენტო (პროცენტის არგადამხდელ) მიმდინარე ანგარიშზე.

დავალება:

როგორც „მირაჟის“ ფინანსურ მენეჯერს გთხოვს ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის საფუძველზე წარმოადგინოთ მოგება-ზარალის ანგარიშგების და საჭირო ფინანსების გეგმა მომავალი სამი წლისათვის.

შენიშვნა: გათვლების შედეგები შეგიძლია დაამრგვალოთ მთელეზამდე სიზუსტით.

ამოხსნა:

წლების მიხედვით, ამოცანში მოყვანილი მოცემულობების საფუძველზე მოვახდინოთ გათვლების წარმოება წლების შესაბამისად ცალ-ცალკე და შესაბამისად ასევე წლების მიხედვით შევადგინოთ მოგება -ზარალისა და ფულის მიმოქცევის ანგარიშგებები.

მაშ ასე:

ბრუნვა:

1-ლი წელი:

$$875000 + 875000 * 15\% = 1006250 \text{ ლარი}$$

მე-2 წელი:

$$1006250 + 1006250 * 15\% = 1157188 \text{ ლარი}$$

მე-3 წელი:

ბრუნვის 15%-იანი ზრდის პირობებში

$$1157188 + 1157188 * 15\% = 1330766 \text{ ლარი}$$

ბრუნვის 25%-იანი ზრდის პირობებში

$$1157188 + 1157188 * 25\% = 1446485 \text{ ლარი}$$

თვითღირებულება:

1-ლი წელი:

$$1006250 * 75\% = 754688 \text{ ლარი}$$

მე-2 წელი:

$$1157188 * 75\% = 867891 \text{ ლარი}$$

მე-3 წელი:

ბრუნვის 15%-იანი ზრდის პირობებში

$$1330766 * 75\% = 998075 \text{ ლარი}$$

ბრუნვის 25%-იანი ზრდის პირობებში

$$1446485 * 75\% = 1084864 \text{ ლარი}$$

სხვა ხარჯები %-ის ხარჯის გამოკლებით:

1-ლი წელი:

$$5000 + 1006250 * 18\% = 186125 \text{ ლარი}$$

მე-2 წელი:

$$5000 + 1157188 * 18\% = 213294 \text{ ლარი}$$

მე-3 წელი:

ბრუნვის 15%-იანი ზრდის პირობებში

$$5000 + 1330766 * 18\% = 244538 \text{ ლარი}$$

ბრუნვის 25%-იანი ზრდის პირობებში

$$5000 + 1446485 * 18\% = 265367 \text{ ლარი}$$

მოცემული გათვლების გათვალისწინებით შესაძლებელია შევუდგეთ მოგება-ზარალის ანგარიშგების შედგენას.

მაშ ასე:

მოგება - ზარალის ანგარიშგება

(მომდევნო 1-ლი წელი)

ბრუნვა	$875000 + 875000 * 15\%$	1006250
თვითღირებულება	$1006250 * 75\%$	(754688)
სხვა ხარჯები %-ის ხარჯის გამოკლებით	$5000 + 1006250 * 18\%$	(186125)
მოგება დაბეგვრამდე და %-ის ხარჯამდე	$1006250 - 754688 - 186125$	65437
%-ის ხარჯი	$180000 * 12\%$	(21600)
მოგება დაბეგვრამდე	$65437 - 21600$	43837
მოგების გადასახადის ხარჯი (25%)	$43837 * 25\%$	(10959)
წმინდა მოგება	$43837 - 10959$	32878

ახლა მოვახდინოთ ფულადი ექვივალენტების მოძრაობის ანალიზი მომდევნო 1-ლი წლისათვის.

მაშ ასე:

- 1) ამოცანის პირობის თანახმად ფულადი ექვივალენტების საწყისი ნაშთი მომდევნო 1-ლი წლისათვის 9000 ლარის ტოლია.
- 2) გავთვლოთ რეალიზაციიდან მიღებული ფულის ოდენობა, რომელიც ტოლი იქნება რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს გამოკლებული დებიტორის ზრდა (რა თქმა უნდა თუ ასეთი არსებობს მოცემულ წელს).
რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები მომდევნო 1-ლი წლისათვის როგორც ზევით გავთვალეთ არის 1006250 ლარი. ე.ი. გასათვლელი რჩება დებიტორის ზრდა.
საწყისი დებიტორი მომდევნო 1-ლი წლისათვის ტოლია მიმდინარე წლის საბოლოო დებიტორის, რომელიც პირობის მოცემულობიდან გამომდინარე ტოლია 10000 ლარს დამატებული მიმდინარე წლის რეალიზაციის 20%. ე.ი.

$$10000 + 875000 * 20\% = 185000 \text{ ლარი}$$

იგივე მტკიცებით საბოლოო დებიტორი მომდევნო 1-ლი წლისათვის იქნება:

$$10000 + 1006250 * 20\% = 211250 \text{ ლარი}$$

მივიღეთ, რომ მომდევნო 1-ლ წელს ადგილი აქვს დებიტორის ზრდას, რომელიც იქნება:

$$211250 - 185000 = 26250 \text{ ლარი}$$

გამომდინარე აქედან მომდევნო 1-ლი წლისათვის რეალიზაციიდან მიღებული ფული ტოლი იქნება:

$$1006250 - 26250 = 980000 \text{ ლარი}$$

- 3) ახლა გავიანგარიშოთ მარაგის შესაძენად გადახდილი ფულის ოდენობა მომდევნო 1-ლი წლისათვის, რომელიც ტოლი იქნება თვითღირებულებას გამოკლებული კრედიტორის ზრდა და დამატებული მარაგის ზრდა (თუ მოცემულ წელს ასეთი არსებობს რა თქმა უნდა). როგორც ზევით თვითღირებულების გათვლისას ვაჩვენეთ, მომდევნო 1-ლი წლისათვის იგი 754688 ლარის ტოლია. ვნახოთ რა მდგომარეობაა კრედიტორებთან და მარაგში.

კრედიტორები:

საწყისი კრედიტორი მომდევნო 1-ლი წლისათვის ტოლია მიმდინარე წლის საბოლოო კრედიტორის, რომელიც პირობის მოცემულობიდან გამომდინარე არი მიმდინარე წლის რეალიზაციის 35%. ე.ი.

$$875000 * 35\% = 306250 \text{ ლარი}$$

იგივე მტკიცებით საბოლოო კრედიტორი მომდევნო 1-ლი წლისათვის იქნება:

$$1006250 * 35\% = 352188 \text{ ლარი}$$

მივიღეთ, რომ მომდევნო 1-ლ წელს ადგილი აქვს კრედიტორის ზრდას, რომელიც იქნება:

$$352188 - 306250 = 45938 \text{ ლარი}$$

მარაგი:

საწყისი მარაგი მომდევნო 1-ლი წლისათვის ტოლია მიმდინარე წლის საბოლოო მარაგის, რომელიც პირობის მოცემულობიდან გამომდინარე არის 12000 ლარს დამატებული მიმდინარე წლის რეალიზაციის 25%. ე.ი.

$$12000 + 875000 * 25\% = 230750 \text{ ლარი}$$

იგივე მტკიცებით საბოლოო მარაგი მომდევნო 1-ლი წლისათვის იქნება:

$$10000 + 1006250 * 25\% = 263563 \text{ ლარი}$$

მივიღეთ, რომ მომდევნო 1-ლ წელს ადგილი აქვს მარაგის ზრდას, რომელიც იქნება:

$$263563 - 230750 = 32813 \text{ ლარი}$$

მაშასადამე მოცემული გათვლების შედეგად მომდევნო 1-ლი წლისათვის მარაგის შესაძენად გადახდილი ფული ტოლი იქნება:

$$754688 - 45938 + 32813 = 741563 \text{ ლარი}$$

- 4) ახლა გავთვალთ მომდევნო 1-ლი წლისათვის მოგების გადასახდის სახით გადასახდელი ფულის ოდენობა, ამისათვის შევადგინოთ მიმდინარე წლის მოგება-ზარალის ანგარიშგება. ეს საშუალებას მოგვცემს გავიანგარიშოთ მიმდინარე წლის მოგების გადასახდის ოდენობა, რომლის გადახდაც მომდევნო 1-ლ წელს განხორციელდება.

მოგება - ზარალის ანგარიშგება

(მიმდინარე წელი)

ბრუნვა		875000
თვითღირებულება	$875000 * 75\%$	(656250)
სხვა ხარჯები %-ის ხარჯის გამოკლებით	$5000 + 875000 * 18\%$	(162500)
მოგება დაბეგვრამდე და %-ის ხარჯამდე	$875000 - 656250 - 162500$	56250
%-ის ხარჯი	$180000 * 12\%$	(21600)
მოგება დაბეგვრამდე	$56250 - 21600$	34650
მოგების გადასახდის ხარჯი (25%)	$34650 * 25\%$	(8663)
წმინდა მოგება	$34650 - 8663$	25987

მივიღეთ რომ მომდევნო 1-ლი წლისათვის მოგების გადასახდის სახით გადასახდელი ფულადი სახსრები 8663 ლარის ტოლია.

ამის შემდეგ შესაძლებელია შევადგინოთ ფულადი სახსრების სავარაუდო საპროგნოზო გეგმა მომდევნო 1-ლი წლისათვის. ე.ი.

ფულადი ექვივალენტების მოძრაობის გეგმა

(მომდევნო 1-ლი წელი)

ფულის ნაშთი წლის დასაწყისში		9000
რეალიზაციიდან მიღებული ფული		980000
სხვა ხარჯებში გადახდილი ფული	$5000 + 1006250 * 18\%$	(186125)
%-ის ხარჯის გამოკლებით		
%-ის სახით გადახდილი ფული	$180000 * 12\%$	(21600)

მოგების გადასახადის სახით გადახდილი ფული		(8663)
მარაგის შესაძენად გადახდილი ფული		(741563)
ნაშთი წლის ბოლოს	9000+98000-186125-21600-8663-741563	31049

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით (ანუ მომდევნო 1-ლი წლისათვის გათვლილი შედეგებით) შევამოწმოთ მოცემული წლისათვის მიმდინარე ლიკვიდობისა და ლევერიჯის კოეფიციენტები და ვნახოთ არის თუ არა დაცული ამოცანაში მოცემული მოთხოვნა ამ კოეფიციენტებთან დაკავშირებით (მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი უნდა იყოს არანაკლებ 1,3, ხოლო ლევერიჯი - მაქსიმუმ 80%).

მიმდ. ლიკვიდობის კოეფიციენტი = მიმდ. აქტივები / მიმდ. ვალდებულებები

სადაც,

მიმდ. აქტივები = ფული + დებიტორი + მარაგი = 31049 + 185000 + 263563 = 479112 ლარი

ხოლო

მიმდ. ვალდებულება = კრედიტორები + სხვა მოკლევადიანი ვალდებულება

სხვა მოკლევადიანი ვალდებულება ამ შემთხვევაში იქნება მომდევნო 1-ლი წლის შესაბამისი მოგების გადასახადი, რომლის გადახდაც მომდევნო მე-2 წელს განხორციელდება, ანუ 10959 ლარი.

მაშასადამე მიმდინარე ვალდებულებები იქნება:

$$352188 + 10959 = 363147$$

მაშასადამე,

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი = $479112 / 363147 = 1,3$ (პირობა დაცულია)

ახლა გავთვალოთ ლევერიჯი.

ვიცით, რომ

ლევერიჯის კოეფიციენტი = გრძელვადიანი სესხები / აქციონერთა კაპიტალთან

სადაც,

გრძელვადიანი სესხი = 180000 ლარი, ხოლო

აქციონერთა კაპიტალი = ჩვეულებრივი აქციები + რეზერვები + წმ. მოგება

ანუ აქციონერთა კაპიტალი = $200000 + 149000 + 32878 = 381878$

გამოდის რომ

ლევერიჯის კოეფიციენტი = $180000 / 381878 = 0,47$ ანუ 47% (პირობა დაცულია).

ახლა იგივე პროცედურები და გათვლები ვაწარმოოთ მომდევნო მე-2 წლისათვის.

ბრუნების შესაბამისი გათვლების წარმოებისას მივიღეთ, რომ მომდევნო მე-2 წელს ბრუნვის გეგმიური (მოსალოდნელი) მაჩვენებელი 1157188 ლარის ტოლია, რაც აჭარბებს კომპანიაში ამჟამად არსებული ძირითადი საშუალების საწარმოო შესაძლებლობებს, რომელიც 1100000 ლარამდე რეალიზაციის ფარგლებშია მოქცეული. რეალიზაციაზე გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით კომპანიამ წლის დასაწყისშივე (პირობის თანახმად) უნდა დაიკავოს თადარიგი და დამატებით შეიძინოს ახალი დანადგარი, რომლის ღირებულებაც შეადგენს 200000 ლარს.

როგორც უკვე გავთვალეთ მომდევნო 1-ლი წლის ბოლოსათვის არსებული ფულის ნაშთი არის 31049 ლარი, ანუ ეს იგივეა რაც მე-2 წლის დასაწყისისათვის არსებული ფულადი სახსრების საწყისი ნაშთი. თუკი მომდევნო მე-2 წლის დასაწყისისათვის ფულადი სახსრების ნაშთი არის 31049 ლარი და წლის დასაწყისშივე დამატებით შესაძენია 200000 ლარად ღირებული მანქანა დანადგარი, გამოდის, რომ სესხის სახით მოსაზიდი ფულადი სახსრების ოდენობა არის

$$200000 - 31049 = 168951 \text{ ლარი ანუ დაახლოებით } 169000 \text{ ლარი.}$$

ცხადია სესხის %-ის ხარჯი მომდევნო მე-2 წლისათვის კვლავ 21600-ის ტოლი იქნება, რადგანაც მე-2 წლის დასაწყისში მოზიდული სესხის %-ის გადახდა დაიწყება 1 წლის შემდეგ ანუ მომდევნო მე-3 წლიდან.

მაშასადამე

მოგება - ზარალი

(მოდევნო მე-2 წლისათვის)

ბრუნვა	$1006250 + 1006250 * 15\%$	1157188
თვითღირებულება	$1157188 * 75\%$	(867891)
სხვა ხარჯები %-ის ხარჯის გამოკლებით	$5000 + 1157188 * 18\%$	(213294)
მოგება დაბეგვრამდე და %-ის ხარჯამდე	$1157188 - 867891 - 213294$	76003
%-ის ხარჯი	$180000 * 12\%$	(21600)
მოგება დაბეგვრამდე	$76003 - 21600$	54403
მოგების გადასახადის ხარჯი (25%)	$54403 * 25\%$	(13601)
წმინდა მოგება	$54403 - 13601$	10802

ახლა მოვახდინოთ ფულადი ექვივალენტების მოძრაობის ანალიზი მომდევნო მე-2 წლისათვის.

მაშ ასე:

- 1) ამოცანის პირობის თანახმად ფულადი ექვივალენტების საწყისი ნაშთი მომდევნო მე-2 წლისათვის 31049 ლარის ტოლია.
- 2) გავთვლოთ რეალიზაციიდან მიღებული ფულის ოდენობა, რომელიც ტოლი იქნება რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს გამოკლებული დებიტორის ზრდა (რა თქმა უნდა თუ ასეთი არსებობს მოცემულ წელს).
რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები მომდევნო მე-2 წლისათვის როგორც ზევით გავთვალეთ არის 1157188 ლარი. ე.ი. გასათვლელი რჩება დებიტორის ზრდა.

საწყისი დებიტორი მომდევნო მე-2 წლისათვის ტოლია მომდევნო 1-ლი წლის საბოლოო დებიტორის ანუ 211250 ლარის, ხოლო პირობის მოცემულობიდან გამომდინარე საბოლოო დებიტორი არის 10000 ლარს დამატებული მე-2 წლის რეალიზაციის 20%. ე.ი.

საბოლოო დებიტორი მომდევნო მე-2 წლისათვის იქნება:

$$10000 + 1157188 * 20\% = 241438 \text{ ლარი}$$

მივიღეთ, რომ მომდევნო მე-2 წელს ადგილი აქვს დებიტორის ზრდას, რომელიც იქნება:

$$241438 - 211250 = 30188 \text{ ლარი}$$

გამომდინარე აქედან მომდევნო მე-2 წლისათვის რეალიზაციიდან მიღებული ფული ტოლი იქნება:

$$1157188 - 30188 = 1127000 \text{ ლარი}$$

- 3) ახლა გავიანგარიშოთ მარაგის შესაძენად გადახდილი ფულის ოდენობა მომდევნო მე-2 წლისათვის, რომელიც ტოლი იქნება თვითღირებულებას გამოკლებული კრედიტორის ზრდა და დამატებული მარაგის ზრდა (თუ მოცემულ წელს ასეთი არსებობს რა თქმა უნდა).

როგორც ზევით თვითღირებულების გათვლისას ვაჩვენეთ, მომდევნო მე-2 წლისათვის იგი 867891 ლარის ტოლია ანუ $(1157188 * 75\%)$. ვნახოთ რა მდგომარეობაა კრედიტორებთან და მარაგში.

კრედიტორები:

საწყისი კრედიტორი მომდევნო მე-2 წლისათვის იგივე იქნება რაც მომდევნო 1-ლი წლის საბოლოო კრედიტორი ანუ 352188 ლარი. ამოცანის პირობიდან გამომდინარე წლის საბოლოო კრედიტორი არის მოცემული წლის რეალიზაციის 35%. ე.ი.

$$1157188 * 35\% = 405016 \text{ ლარი (მთელეზამდე სიზუსტით).}$$

მივიღეთ, რომ მომდევნო მე-2 წელს ადგილი აქვს კრედიტორის ზრდას, რომელიც იქნება:

$$405016 - 352188 = 52828 \text{ ლარი}$$

მარაგი:

საწყისი მარაგი მომდევნო მე-2 წლისათვის ტოლია მომდევნო 1-ლი წლის საბოლოო მარაგის, რომელიც პირობის მოცემულობიდან გამომდინარე არის 12000 ლარს დამატებული 1-ლი წლის რეალიზაციის 25%. ე.ი.

$$12000 + 1006250 * 25\% = 263563 \text{ ლარი}$$

იგივე მტკიცებით საბოლოო მარაგი მომდევნო მე-2 წლისათვის იქნება:

$$10000 + 1157188 * 25\% = 301297 \text{ ლარი}$$

მივიღეთ, რომ მომდევნო მე-2 წელს ადგილი აქვს მარაგის ზრდას, რომელიც იქნება:

$$301297 - 263563 = 37734 \text{ ლარი}$$

მაშასადამე მოცემული გათვლების შედეგად მომდევნო მე-2 წლისათვის მარაგის შესაძენად გადახდილი ფული ტოლი იქნება:

$$867891 - 52828 + 37734 = 852797 \text{ ლარი}$$

მოვახდინოთ ამ პირობებში მომდევნო მე-2 წლის ფულადი ნაკადების გაანალიზება:

მაშ ასე:

ფულადი ექვივალენტების მოძრაობის გეგმა
(მომდევნო 1-ლი წელი)

ფულის ნაშთი წლის დასაწყისში		31049
რეალიზაციიდან მიღებული ფული		1127000
მოზიდული ფული		169000
სხვა ხარჯებში გადახდილი ფული %-ის ხარჯის გამოკლებით	$5000 + 1157188 * 18\%$	(213294)
%-ის სახით გადახდილი ფული	$180000 * 12\%$	(21600)
მოგების გადასახადის სახით გადახდილი ფული		(10959)
მარაგის შესაძენად გადახდილი ფული		(852797)
ძირითადი საშუალების შესაძენად გადახდილი ფული		(200000)
ფულის ნაშთი მე-2 წლის ბოლოს	$31049 + 1127000 + 169000 - 213294 - 21600 - 10959 - 852797 - 200000$	28399

მაშასადამე მივიღეთ, რომ თუ მოზიდული ფულადი სახსრები 169000 ლარი იქნება, საბოლოო ფულადი ნაშთი მომდევნო მე-2 წლისათვის 28399 ლარს გაუტოლდება.

ამოცანის პირობის თანახმად კომპანიას შეუძლია გამოიყენოს 50000 ლარის ფარგლებში ოვერდრაფტი წლიური 10%-იანი განაკვეთით, აგრეთვე შეუძლია აიღოს გრძელვადიანი სესხი წლიური 11%-იანი განაკვეთით. აქვე უნდა იქნას გათვალისწინებული საბანკო სესხებზე არსებული შემზღუდველი პირობები, კერძოდ ის რომ მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი არის 13 და იგი მომავალშიც არ უნდა ჩამოცდეს ამ მაჩვენებელს, ხოლო ლევერიჯის კოეფიციენტი არის 80%-მდე და აქაც დაცული უნდა იქნეს ეს დონე (ანუ ეს კოეფიციენტი არ უნდა იქნეს 80%-ზე მეტი).

ვინაიდან ოვერდრაფტი წლიური 10%-იანი საპროცენტო განაკვეთით არის შემოთავაზებული, ამიტომ კომპანიამ უპირატესობა უნდა მიაანიჭოს მას, მაქსიმალურად აითვისოს ის და მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთოს განაცხადი გრძელვადიან 11%-იან სესხზე. ვნახოთ რა ოდენობით იქნება შესაძლებელი ოვერდრაფტის გამოყენება. ოვერდრაფტი მოკლევადიანი სესხია და ამიტომ ის მონაწილეობას მიიღებს მოკლევადიანი (მიმდინარე) ლიკვიდობის კოეფიციენტის გათვლაში, რომელიც როგორც ზევით აქვნიშნეთ მინიმუმ 1,3-ს უდრის.

ვიცით რომ:

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი = მიმდ. აქტივები / მიმდ. ვალდებულებებთან

სადაც,

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი = 1,3;

მიმდინარე აქტივები = ფული + დებიტორი + მარაგი = 28399 + 241438 + 301297 = 571134 ლარი;

მიმდ. ვალდებულებები = კრედიტორები + სხვა მოკლევადიანი ვალდებ. + ოვერდრაფტი =
= 405016 + 13601 + ოვერდრაფტი = 418617 + ოვერდრაფტი

ე.ი. მივიღეთ, რომ

$$571134 / (418617 + \text{ოვერდრაფტი}) = 1,3 \text{ საიდანაც}$$

$$\text{ოვერდრაფტი} = 571134 / 1,3 - 418617 = 20717 \text{ ლარი (მთელეზამდე სიზისტით)}$$

მივიღეთ, რომ ოვერდრაფტი არის 20717 ლარი ანუ დაახლოვებით 20700 ლარი. გამოდის, რომ ამ პირობებში მოსაზიდი გრძელვადიანი 11%-იანი სესხის ოდენობა იქნება

$$169000 - 20700 = 148300 \text{ ლარი.}$$

როცა ჩვენ ასათვისებელი ოვერდრაფტის ოდენობის გაანგარიშება მოვახდინეთ, მაშინ რა თქმა უნდა დავიცავით ბალანსი მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტის შესაძლო მინიმუმთან დაკავშირებით. მოვახდინეთ იმის გათვლაც, რომ გრძელვადიანი 11%-იანი სესხი მოზიდული უნდა იქნას 148300 ლარის ოდენობით. ამ პირობებსი შევამოწმოთ რა მდგომარეობაა ლევერიჯის კოეფიციენტთან მიმართებით.

ვიცით, რომ

ლევერიჯის კოეფიციენტი = გრძელვადიანი სესხები / აქციონერთა კაპიტალთან

სადაც,

$$\text{გრძელვადიანი სესხი} = 180000 + 148300 = 328300 \text{ ლარი, ხოლო}$$

$$\text{აქციონერთა კაპიტალი} = \text{ჩვეულებრივი აქციები} + \text{რეზერვები} + \text{წმ. მოგება}$$

$$\text{ანუ აქციონერთა კაპიტალი} = 200000 + 149000 + 40802 = 389802 \text{ ლარი}$$

გამოდის რომ

$$\text{ლევერიჯის კოეფიციენტი} = 328300 / 389802 = 0,8 \text{ ანუ } 80\% \text{ (პირობა დაცულია).}$$

ამოცანის მომდევნო მოთხოვნის შესაბამისად ახლა უნდა განვახორციელოთ მოგება-ზარალის ანგარიშგების შედგენა და ფულადი ექვივალენტების გაანალიზება მომდევნო მე-3 წლისათვის და ეს უნდა განვახორციელოთ ბრუნვის 15%-იანი და 25%-იანი ზრდის პირობებსი ცალცალკე.

ვიდრე მოგება ზარალის ზემოთხსენებულ ანგარიშგებებს სევადგენდეთ, მანამდე გავიანგარიშოთ საპროცენტო გადასახდელების გაანგარიშება. როგორც ზევით აღვნიშნეთ, მე-3 წლდან უკვე ხორციელდება ახლადმოზიდული ოვერდრაფტისა და გრძელვადიანი სესხის შესაბამისი წლიური პროცენტის ხარჯების გადახდა.

ოვერდრაფტმა (წლიური 10%) შეადგინა 20700 ლარი, ხოლო გრძელვადიანმა 11%-იანმა სესხმა შეადგინა 148300 ლარი. შესაბამისად საპროცენტო ხარჯი ოვერდრაფტზე იქნება:

$$20700 * 10\% = 2070 \text{ ლარი}$$

გრძელვადიან 11%-იან სესხზე იქნება:

$$148300 * 11\% = 16313 \text{ ლარი}$$

სულ მომდევნო მე-3 წლისათვის %-ის ხარის სახით გამოსაკლები თანხა ტოლი იქნება:

$$180000 * 12\% + 20700 * 10\% + 148300 * 11\% = 21600 + 2070 + 16313 = 39683 \text{ ლარი}$$

მომდევნო მე-3 წლისათვის %-ის ხარჯის სახით გასაწევი ხარჯი უკვე გათვლილია, ის 39683 ლარია, ასევე ამოცანის ამოხსნის დასაწყისში ჩვენ განვახორციელეთ რიგი გათვლებიც. გამომდინარე აქედან შესაძლებელია მოგება - ზარალის ანგარიშგების შედგენა.

მაშ ასე:

მოგება - ზარალი

(მოდევნო მე-3 წლისათვის ბრუნვის 15%-იანი ზრდისას)

ბრუნვა	$1157188 + 1157188 * 15\%$	1330766
თვითღირებულება	$1330766 * 75\%$	(998075)
სხვა ხარჯები %-ის ხარჯის გამოკლებით	$5000 + 1330766 * 18\%$	(244538)
მოგება დაბეგვრამდე და %-ის ხარჯამდე	$1330766 - 998075 - 244538$	88153
%-ის ხარჯი	$180000 * 12\% + 20700 * 10\% + 148300 * 11\%$	(39983)
მოგება დაბეგვრამდე	$88153 - 39983$	48170
მოგების გადასახადის ხარჯი (25%)	$48170 * 25\%$	(12043)
წმინდა მოგება	$48170 - 12043$	36127

მოგება - ზარალი

(მოდევნო მე-3 წლისათვის ბრუნვის 25%-იანი ზრდისას)

ბრუნვა	$1157188 + 1157188 * 25\%$	1446485
თვითღირებულება	$1446485 * 75\%$	(1084864)
სხვა ხარჯები %-ის ხარჯის გამოკლებით	$5000 + 1446485 * 18\%$	(265367)
მოგება დაბეგვრამდე და %-ის ხარჯამდე	$1446485 - 1084864 - 265367$	96254
%-ის ხარჯი	$180000 * 12\% + 20700 * 10\% + 148300 * 11\%$	(39983)
მოგება დაბეგვრამდე	$96254 - 39983$	56271
მოგების გადასახადის ხარჯი (25%)	$56271 * 25\%$	(14068)
წმინდა მოგება	$56271 - 14068$	42203

ახლა მოვახდინოთ ფულადი ნაკადების ანალიზი მომდევნო მე-3 წლისათვის ბრუნვის 15%-იანი ზრდის პირობების შემთხვევაშიც და 25%-იანი ზრდის პირობებისთვისაც ცალ-ცალკე.

მაშ ასე:

- 1) ამოცანის პირობის თანახმად ფულადი ექვივალენტების საწყისი ნაშთი მომდევნო მე-3 წლისათვის 28399 ლარის ტოლია.
- 2) გავთვლოთ რეალიზაციიდან მიღებული ფულის ოდენობა, რომელიც ტოლი იქნება რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს გამოკლებული დებიტორის ზრდა (რა თქმა უნდა თუ ასეთი არსებობს მოცემულ წელს).
რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები მომდევნო მე-3 წლისათვის როგორც ზევით გავთვალეთ არის
ბრუნვის 15%-იანი ზრდისას - 1330766 ლარი
ბრუნვის 25%-იანი ზრდისას - 1446485 ლარი

ე.ი. გასათვლელი რჩება დებიტორის ზრდა.

დებიტორი:

საწყისი დებიტორი მომდევნო მე-3 წლისათვის ტოლია მომდევნო 2-ლი წლის საბოლოო დებიტორის ანუ 241438 ლარის, ხოლო პირობის მოცემულობიდან გამომდინარე საბოლოო დებიტორი არის 10000 ლარს დამატებული მე-3 წლის რეალიზაციის 20%. ე.ი.

საბოლოო დებიტორი მომდევნო მე-3 წლისათვის იქნება:

ბრუნვის 15%-იანი ზრდის პირობებში:

$$10000 + 1330766 * 20\% = 276153 \text{ ლარი (მთელეზამდე სიზუსტით)}$$

ბრუნვის 25%-იანი ზრდის პირობებში:

$$10000 + 1446485 * 20\% = 299297 \text{ ლარი}$$

გამოდის, რომ ბრუნვის ზრდის ორივე შემთხვევაში მიიღება დებიტორის ზრდა, რომელიც

ბრუნვის 15%-იანი ზრდის პირობებში იქნება:

$$276153 - 241438 = 34715 \text{ ლარი}$$

ბრუნვის 25%-იანი ზრდის პირობებში იქნება:

$$299297 - 241438 = 57859 \text{ ლარი}$$

გამომდინარე აქედან მომდევნო მე-3 წლისათვის რეალიზაციიდან მიღებული ფული ტოლი იქნება:

ბრუნვის 15%-იანი ზრდის პირობებში:

$$1330766 - 34715 = 1296051 \text{ ლარი}$$

ბრუნვის 25%-იანი ზრდის პირობებში:

$$1446485 - 57859 = 1388626 \text{ ლარი}$$

- 4) ახლა გავიანგარიშოთ მარაგის შესაძენად გადახდილი ფულის ოდენობა მომდევნო მე-3 წლისათვის, რომელიც ტოლი იქნება თვითღირებულებას გამოკლებული კრედიტორის ზრდა და დამატებული მარაგის ზრდა (თუ მოცემულ წელს ასეთი არსებობს რა თქმა უნდა).

როგორც ზევით თვითღირებულების გათვლისას ვაჩვენეთ, მოდევნო მე-3 წლისათვის ბრუნვის 15%-იანი ზრდისას არის 998075 ლარი (ანუ $1330766 * 75\%$), ხოლო ბრუნვის 25%-იანი ზრდისას კი - 1084864 ლარი ($1446485 * 75\%$).

კრედიტორები:

საწყისი კრედიტორი მომდევნო მე-3 წლისათვის იქნება 405016 ლარი (ანუ მომდევნო მე-2 წლის საბოლოო კრედიტორის ოდენობა).

ამოცანის პირობიდან გამომდინარე წლის საბოლოო კრედიტორი არის მოცემული წლის რეალიზაციის 35%. ე.ი.

ბრუნვის 15%-იანი ზრდისას იქნება:
 $1330766 * 35\% = 465768$ ლარი

ბრუნვის 25%-იანი ზრდისას იქნება:
 $1446485 * 35\% = 506270$ ლარი

მივიღეთ, რომ მომდევნო მე-3 წელს ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს კრედიტორის ზრდას, რომელიც

ბრუნვის 15%-იანი ზრდისას იქნება:
 $465768 - 405016 = 60752$ ლარი

ბრუნვის 25%-იანი ზრდისას იქნება:
 $506270 - 405116 = 101254$ ლარი.

მარაგი:

საწყისი მარაგი მომდევნო მე-3 წლისათვის ტოლია მომდევნო მე-2 წლის საბოლოო მარაგის 301297 ლარის (ანუ $12000 + 1006250 * 25\%$)

ამოცანის პირობიდან გამომდინარე საბოლოო მარაგი მომდევნო მე-3 წლისათვის

ბრუნვის 15%-იანი ზრდისას იქნება:
 $12000 + 1330766 * 25\% = 344692$ ლარი;

ბრუნვის 25%-იანი ზრდისას იქნება:
 $12000 + 1446485 * 25\% = 373621$ ლარი.

მივიღეთ, რომ მომდევნო მე-3 წელს ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს მარაგის ზრდას, რომელიც

ბრუნვის 15%-იანი ზრდისას იქნება:
 $344692 - 301297 = 43395$ ლარი;

ბრუნვის 25%-იანი ზრდისას იქნება:
 $373621 - 301297 = 72324$ ლარი.

მაშასადამე მოცემული გათვლების შედეგად მომდევნო მე-3 წლისათვის მარაგის შესაძენად გადახდილი ფული ტოლი იქნება:

ბრუნვის 15%-იანი ზრდისას:
 $398075 - 60752 + 43395 = 980718$ ლარი;

ბრუნვის 25%-იანი ზრდისას იქნება:
 $1084864 - 1012545 + 72324 = 1055934$ ლარი.

მაშ ასე:

ფულადი ექვივალენტების მოძრაობის გეგმა
 (მომდევნო მე-3 წლისათვის ბრუნვის 15%-იანი ზრდისას)

ფულის ნაშთი წლის დასაწყისში		28399
რეალიზაციიდან მიღებული ფული		1296051
სხვა ხარჯებში გადახდილი ფული %-ის ხარჯის გამოკლებით	$5000 + 1330766 * 18\%$	(244538)
%-ის სახით გადახდილი ფული	$180000 * 12\% + 20700 * 10\% + 148300 * 10\%$	(39983)
მოგების გადასახადის სახით გადახდილი ფული		(13601)
მარაგის შესაძენად გადახდილი ფული		(980718)
ნაშთი წლის ბოლოს	$28399 + 1296051 - 244538 - 39983 - 13601 - 980718$	45610

ფულადი ექვივალენტების მოძრაობის გეგმა
 (მომდევნო მე-3 წლისათვის ბრუნვის 25%-იანი ზრდისას)

ფულის ნაშთი წლის დასაწყისში		28399
რეალიზაციიდან მიღებული ფული		1388626
სხვა ხარჯებში გადახდილი ფული %-ის ხარჯის გამოკლებით	$5000 + 1446485 * 18\%$	(265367)
%-ის სახით გადახდილი ფული	$180000 * 12\% + 20700 * 10\% + 148300 * 10\%$	(39983)
მოგების გადასახადის სახით გადახდილი ფული		(13601)
მარაგის შესაძენად გადახდილი ფული		(1055934)
ნაშთი წლის ბოლოს	$28399 + 1388626 - 265367 - 39983 - 13601 - 1055934$	42140

შევამოწმოთ მიმდინარე ლიკვიდობისა და ლევერიჯის კოეფიციენტები მომდევნო მე-3 წლისათვის.

მიმდ. ლიკვიდობის კოეფიციენტი = მიმდ. აქტივები / მიმდ. ვალდებულებები

სადაც, ბრუნვის 15%-იანი ზრდისას

მიმდ. აქტივები = ფული + დებიტორი + მარაგი. ე.ი.

$$45610 + 276153 + 344692 = 66455 \text{ ლარი}$$

მიმდ. ვალდებულ. = კრედიტორები + საგადასახადო ვალდებულება + ოვერდრაფტი
ე.ი. $465768 + 12043 + 20700 = 498511$ ლარი

გამოდის რომ მიმდ. ლიკვიდობის კოეფიციენტი = $66455 / 498511 = 1,3$

ბრუნვის 25%-იანი ზრდისას

მიმდ. აქტივები = ფული + დებიტორი + მარაგი. ე.ი.

$$42140 + 299297 + 373621 = 715058 \text{ ლარი}$$

მიმდ. ვალდებულ. = კრედიტორები + საგადასახადო ვალდებულება + ოვერდრაფტი
ე.ი. $506270 + 14068 + 20700 = 541038$ ლარი

გამოდის რომ მიმდ. ლიკვიდობის კოეფიციენტი = $715058 / 541038 = 1,3$

(პირობა დაცულია ორივე შემთხვევაში)

ახლა გავთვალოთ ლევერიჯი.

ვიცით, რომ

ლევერიჯის კოეფიციენტი = გრძელვადიანი სესხები / აქციონერთა კაპიტალთან

სადაც,

გრძელვადიანი სესხი = $180000 + 148300 = 328300$ ლარი, ხოლო

აქციონერთა კაპიტალი = ჩვეულებრივი აქციები + რეზერვები + წმ. მოგება

ანუ

ბრუნვის 15%-იანი ზრდისას

აქციონერთა კაპიტალი = $200000 + 149000 + 45610 = 394610$ ლარი

გამოდის რომ

ლევერიჯის კოეფიციენტი = $328300 / 394610 = 0,8$ ანუ 80%

ბრუნვის 25%-იანი ზრდისას

აქციონერთა კაპიტალი = $200000 + 149000 + 42140 = 391140$ ლარი

გამოდის რომ

ლევერიჯის კოეფიციენტი = $328300 / 391140 = 0,8$ ანუ 80%

(აქაც პირობა დაცულია)

საკონტროლო კითხვები:

- 1) რას უდრის მომდევნო 1-ლი წლის ამონაგები რეალიზაციიდან?
პასუხი: 1006250 ლარი
- 2) რას უდრის რეალიზაციიდან მიღებული ფული მომდევნო 1-ლი წლისათვის?
პასუხი: 980000 ლარი
- 3) რას უდრის მომდევნო პირველი წლისათვის სხვა ხარჯებში გადახდილი ფული?
პასუხი: 186125 ლარი
- 4) რას უდრის ფულის ნაშთი მომდევნო მე-2 წლის დასაწყისში?
პასუხი: 31049 ლარი
- 5) რას უდრის მომდევნო მე-2 წელს ამონაგები რეალიზაციიდან?
პასუხი: 1157188 ლარი
- 6) რას უდრის საბოლოო დებიტორი მომდევნო მე-2 წლის შესაბამისად მთელუბამდე სიზისტით?
პასუხი: 241438 ლარი
- 7) რას უდრის კრედიტორის ზრდა მომდევნო მე-2 წლისათვის?
პასუხი: 52828 ლარი
- 8) რას უდრის პროცენტის სახით გადახდილი ფული მომდევნო 1-ლი წლისათვის?
პასუხი: 21600 ლარი
- 9) რას უდრის მარაგის შესაძენად გადახდილი ფული მომდევნო მე-2 წლისათვის?
პასუხი: 852797 ლარი
- 10) რას უდრის მოგების გადასახადის სახით გადახდილი ფული მომდევნო 1-ლი წლისათვის მთელუბამდე სიზუსტით?
პასუხი: 8663 ლ

ამოცანა 7

შემენა ფულადი სახსრებით გადახდით, უმცირესობის წილი და გუდვილი:

შეადგინეთ ძირითადი კომპანიის და კომპანიათა ჯგუფის ბუღალტრული ბალანსები შემენის შემდეგ.

ძირითადი კომპანიის ბუღალტრული ბალანსი (შემენამდე)			
აქტივი:		პასივი:	
ფულადი სახსრები	1920	კრედიტორული დავალიანება	1200
მარაგი	700		
ინვესტიციები	250	დარიცხვები	570
ძირითადი საშუალებები	700	აქციონერთა კაპიტიალი	1800
	-----		-----
	3570		3570

შვილობილი კომპანიის ბუღალტრული ბალანსი			
აქტივი:		პასივი:	
ფულადი სახსრები	190	კრედიტორული დავალიანება	620
მარაგი	1000		
ინვესტიციები	250		
ძირითადი საშუალებები	680	აქციონერთა კაპიტიალი	1500
	-----		-----
	2120		2120

ძირითადი კომპანია იძენს სააქციო კაპიტალის 80%-ს 1550 პ.ერთ. (გადახდა წარმოებს ფულადი სახსრებით).

შვილობილ კომპანიაში ინვესტიციებისა და ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულება შესაბამისად შეადგენს 300 და 900 პირობით ერთეულს.

(შედგები შეიტანეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილებში შესაბამისად მუხლების მიხედვით).

ძირითადი კომპანიის ბუღალტრული ბალანსი (შემენამდე)	
აქტივი:	პასივი:
ფულადი სახსრები	კრედიტორული დავალიანება
მარაგი	
ინვესტიციები	დარიცხვები
ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში	აქციონერთა კაპიტიალი
ძირითადი საშუალებები	

კომპანიების ჯგუფის ბუღალტრული ბალანსი	
აქტივი:	პასივი:
ფულადი სახსრები	კრედიტორული დავალიანება
მარაგი	
ინვესტიციები	დარიცხვები
ძირითადი საშუალებები	უმცირესობის წილი
	აქციონერთა კაპიტიალი

შენ
იშვ
ნა:
ფუ
ლა
დი
სახ

სრები =

მარაგი =

ინვესტიციები =

ძირითადი საშუალებები =

გუდვილი =

კრედიტორული დავალიანება =

უმცირესობის წილი =

ამოხსნა:

ძირითადი კომპანიის ბუღალტრული ბალანსი (შემენის შემდეგ)			
აქტივი:		პასივი:	
ფულადი სახსრები	370	კრედიტორული დავალიანება	1200

მარაგი	700	დარიცხვები	570
ინვესტიციები	250	აქციონერთა კაპიტალი	1800
ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში	1550		-----
ძირითდი საშუალებები	700		3570

3570			

განგარიშები: ფულადი სახსრები = $1920 - 1550 = 370$

მარაგი = 700

ინვესტიციები = 250

ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში = 1550

ძირითადი საშუალებები = 700

სულ 3570

კრედიტორული დავალიანება = 1200

დარიცხვები = 570

აქციონერთა კაპიტალი = 1800

სულ 3570

კომპანიების ჯგუფის ბუღალტრული ბალანსი			
აქტივი:		პასივი:	
ფულადი სახსრები	560	კრედიტორული დავალიანება	1820
მარაგი	1700		
ინვესტიციები	550	დარიცხვები	570
ძირითდი საშუალებები	1600	უმცირესობის წილი	300
გუდვილი	80	აქციონერთა კაპიტალი	1800
	-----		-----
4490			4490

განგარიშები: ფულადი სახსრები = $370 + 190 = 560$

მარაგი = $700 + 1000 = 1700$

ინვესტიციები = $250 + 300 = 550$

ძირითადი საშუალებები = $700 + 900 = 1600$

გუდვილი = $1550 - (190 + 1000 + 300 + 900 - 620 - 300) = 80$

სულ 4490

კრედიტორული დავალიანება = $1200 + 620 = 1820$

დარიცხვები = 570

უმცირესობის წილი = $1500 * 20\% = 300$

აქციონერთა კაპიტალი = 1800

სულ 4490

საკონტროლო კითხვები:

1. რისი ტოლია კომპანიათა ჯგუფის ბუღალტრულ ბალანსში ფულადი სახსრები?
პასუხი: 560
2. რისი ტოლია გუდვილი?
პასუხი: 80
3. რას უდრის უმცირესობის წილი?
პასუხი: 300
4. რას უდრის ძირითადი საშუალება კომპანიათა ჯგუფის ანგარიშგებაში?
პასუხი: 1600
5. რას უდრის პასივები კომპანიათა ჯგუფის ანგარიშგებაში?
პასუხი: 4490
6. რას უდრის ფულადი სახსრები ძირითადი კომპანიის ბალანსში შეძენის შემდეგ?
პასუხი: 370

ამოცანა 8:

მოცემულია კომპანია „იმედის“ ხუთწლიანი ფინანსური მონაცემები:

20X9	20X8	20X7	20X6	20X5
------	------	------	------	------

ფინანსური კოეფიციენტები:
მომგებიანობა:

მარჟა = სავაჭრო მოგება / ამონაგები რეალიზაციიდან %	7,8	7,5	7,0	7,2	7,3
აქტივების უკუგება	$= \frac{\text{სავაჭრო მოგება}}{\text{ნეტო საოპერაციო აქტივები}} \%$				
	16,3	17,6	16,2	18,2	18,3

პროცენტისა და დივიდენდის დაფარვა:

პროცენტის დაფარვა	$= \frac{\text{სავაჭრო მოგება}}{\text{ნეტო ფინანსური დანახარჯები}} \%$				
	2,9	4,8	5,1	6,5	3,6

დივიდენდის დაფარვა:

შემოსავალი ერთ ჩვეულებრივ აქციაზე დივიდენდი ერთ ჩვეულებრივ აქციაზე	$\frac{\text{შემოსავალი ერთ ჩვეულებრივ აქციაზე}}{\text{დივიდენდი ერთ ჩვეულებრივ აქციაზე}} \text{ ჯერ}$				
	2,7	2,6	2,1	2,5	3,1

ვალისა და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა:

ნეტო ნასესხები სახსრები / აქციონერთა სახსრები (%)	65,9	61,3	48,3	10,8	36,5
ნეტო ნასესხები სახსრები აქციონერთა სახსრები + უმცირესობის წილი	$\frac{\text{ნეტო ნასესხები სახსრები}}{\text{აქციონერთა სახსრები + უმცირესობის წილი}}$				
	59,3	55,5	44,0	10,1	33,9

ლიკვიდობის კოეფიციენტები:

სწრაფი = (მიმდ. აქტივებს - მარაგი) / მიმდ. ვალდებულებ.(%)	65,9	61,3	48,3	10,8	36,5
მიმდინარე = მიმდ. აქტივები / მიმდ. ვალდებულებები (%)	133,6	130,3	142,2	178,9	174,7

აქტივების კოეფიციენტები:

ამონაგები რეალიზაციიდან ნეტო საოპერაციო აქტივები	$\frac{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}}{\text{ნეტო საოპერაციო აქტივები}} \text{ ჯერ}$				
	2,1	2,4	2,3	2,5	2,5
ამონაგები რეალიზაციიდან საბრუნავი კაპიტალი	$\frac{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}}{\text{საბრუნავი კაპიტალი}} \text{ ჯერ}$				
	8,6	9,0	7,0	7,4	6,2

ერთი აქცია:

	20X9	20X8	20X7	20X6	20X5
შემოსავალი					
ერთ აქციაზე -- დაბეგვრამდე ბაზა	23,62	21,25	17,96	17,72	15,06
ნეტო ბაზა	15,65	13,60	10,98	11,32	12,18

დივიდენდები ერთ აქციაზე	5,90	5,40	4,90	4,60	4,10
ნეტო აქტივები ერთ აქციაზე	102,10	89,22	85,95	85,79	78,11

ნეტო საოპერაციო აქტივები მოიცავს მატერიალურ გრძელვადიან აქტივებს, მარაგს, დებიტორულ დავალიანებასა და კრედიტორული დავალიანებას. გამორიცხულია ნასესხები სახსრები გადასახადები და დივიდენდები.

დავალება:

მომზადეთ ანგარიში კომპანიის შესახებ, მოახდინეთ მოცემული ინფორმაციის სათანადო ინტერპრეტაცია და შეფასება.

პასუხი:

მომგებიანობა:

საანალიზო ხუთწლიან პერიოდში სავაჭრო მოგების დონე შეფარდებით სტაბილურია, როგორც რეალიზაციიდან ამონაგების მიმართ, ასევე საოპერაციო აქტივების მიმართ. მოგების მარჟის დონე პირველ წლებში ეცემოდა, მაგრამ 20X7 წლიდან დაწყებული სტაბილურად უმჯობესდება და კულმინაციას აღწევს 20X9 წელს. ხელმძღვანელობამ უნდა სცადოს ამ ტენდენციის მიზეზების, მაგალითად, ეკონომიის ან გასაყიდი ფასების ზრდის, დანახარჯების გამოკვლევა და ეცადოს მათ შენარჩუნებას. ამასთან, მოგებიანობის დონე ამჟამად მოითხოვს ნეტო საოპერაციო აქტივების გამოყენების უმაღლეს დონეს. ხელმძღვანელობამ ხელი უნდა შეუწყოს არსებული აქტივების ოპტიმალურ გამოყენებას, მაგრამ შესაძლებელია, მოგების მარჟის მნიშვნელოვანი დაცემა 20X8 წლიდან 20X9 წლამდე გამოწვეული იყოს ახალი აქტივების შეძენით, რომელთაც ჯერ არ გამოუმუშავებიათ უკუგება.

პროცენტისა და დივიდენდის დაფარვა:

პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი ძალიან განსხვავებულია საანალიზო ხუთწლიან პერიოდში, მაგრამ, არ ჩანს რაიმე სიმპტომი იმისა, რომ კომპანიას კონკრეტული პრობლემები აქვს ამ სფეროში. თუმცა 20X6 წლიდან იწყება მუდმივი დაცემის ტენდენცია და თუ ეს ტენდენცია კვლავაც გაგრძელდება, კომპანიას შეიძლება გაუჭირდეს დაფინანსების მოპოვება სესხის გამცემებისაგან, რომლებიც ამ კოეფიციენტს იყენებენ კომპანიის პროცენტის გადახდისუნარიანობის შეფასების ინდიკატორად. ალბათ, ამგვარი ჯგუფის საქმიანობის შესაფასებლად უფრო საინტერესოა პროცენტის გადასახდელად საჭირო ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების დონე, რაც ამ სიტუაციისათვის უფრო მეტად მიზანშეწონილს ხდის ლიკვიდობის კოეფიციენტების ანალიზის სარგებლიანობას.

დივიდენდების დაფარვის კოეფიციენტი გვიჩვენებს, რომ უკანასკნელ წლებში საწარმოში გაიზარდა გაუნაწილებელი შემოსავლების სიდიდე, რომელიც განკუთვნილია კაპიტალის შენარჩუნებისა და გაფართოებისათვის. ამის მიზეზი შეიძლება იყოს მართვაში წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინება, მაგრამ დივიდენდების დონე შენარჩუნებული უნდა იყოს, რათა კომპანიის მფლობელებს (აქციონერებს) მიეცეთ „სამართლიანი“ უკუგება თავიანთ ინვესტიციებზე. მათ ეს რეგულარული შემოსავლების მიღების მიზნით დააბანდეს და არა კაპიტალის გასაზრდელად.

ნასესხები სახსრების საკუთარ კაპიტალთან ფარდობის კოეფიციენტები (ლევერიჯი):

ეს კოეფიციენტები აინტერესებს სესხის გამცემებსაც და აქციონერებსაც, რაც წინა ნაწილში უკვე განვიხილეთ. ორი კოეფიციენტი, რომელთაგან ერთში უმცირესობის წილი გაითვალისწინება საკუთარი კაპიტალის შემადგენლობაში და მეორეში - არა, ერთი და იმავე ტიპისაა და ამდენად, ჯგუფში უმცირესობის წილი ალბათ სამართლიანად იყო მუდმივი.

ეს კოეფიციენტები გვიჩვენებს, რომ ნასესხები სახსრების ხარჯზე გრძელვადიანი დაფინანსების შეფარდებითი თანხა იზრდება. ეს აისახებოდა პროცენტის დაფარვის კოეფიციენტის დაცემის ტენდენციაში, რომელიც ზემოთ განვიხილეთ. 20X9 წელს გრძელვადიანი დაფინანსების სახსრების 40% უზრუნველყოფილია ნასესხები სახსრებით, მაშინ, როცა 20X6 წელს ეს კოეფიციენტი მხოლოდ 10%-ს შეადგენდა. ეს შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ ხელმძღვანელობა უპირატესობას ანიჭებს გრძელვადიან დაფინანსებას, მაგრამ ხელმძღვანელობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საკითხს, ანუ რაც უფრო მაღალია გრძელვადიანი დაფინანსების ხვედრითი წილი, მით უფრო მაღალია კომპანიაში სახსრების დაბანდების რისკი, განსაკუთრებით ცვალებადი მომგებიანობის დონის პერიოდებში, როდესაც შეუძლებელია ფიქსირებული პროცენტის გადახდის „მანიპულირება“ ცვალებადი მოგების დონეებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ლიკვიდობის კოეფიციენტები:

ლიკვიდობის კოეფიციენტები კომპანიის მოკლევადიანი სიცოცხლისუნარიანობის მნიშვნელოვან ინდიკატორებს წარმოადგენენ. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ კომპანიები ხშირად იმიტომ გამოდიან თავდ ლიკვიდატორების როლში, რომ ფულადი სახსრების პრობლემები აქვთ და არა იმიტომ, რომ არ არიან მომგებიანები.

ამჟამად კომპანიას არ აქვს საკმარისი ლიკვიდური ან ლიკვიდურთან მიახლოებული აქტივები თავისი მიმდინარე ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. თავდაპირველად შეიძლება გვეგონოს, რომ ეს კომპანიის სისუსტის სიმპტომაა, მაგრამ აღნიშნული მდგომარეობა არსებობს 20X6 წლიდან და ამიტომ სავარაუდოა, ამჟამად მისაღებ დონეზე დგას. თუმცა, ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს გარანტია, რომ ეს მდგომარეობა არ გაუარესდეს და ტუ ამას ვერ მოახერხებს, მაშინ შესაძლოა კომპანიამ ვეღარ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება.

აქტივების კოეფიციენტები:

რეალიზაციისა და ნეტო სარეალიზაციო აქტივების ფარდობის კოეფიციენტი გვიჩვენებს უმნიშვნელო დაცემას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს გრძელვადიან აქტივებში დაბანდებული ინვესტიციების ზრდით, მაგრამ შეიძლება იმის მაჩვენებელიც იყოს, რომ რეალიზაციის მაჩვენებელი ეცემა. ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს გარანტია, რომ „რეალური“ რეალიზაციის დონეების დაცემის ტენდენციას არ მიეცეს გაგრძელების შესაძლებლობა.

რეალიზაციის და საბრუნავი კაპიტალის ფარდობის კოეფიციენტი გვიჩვენებს საბრუნავი კაპიტალის შეფარდებითი ღირებულების დაცემას. ეს დაკავშირებულია ლიკვიდობის პრობლემასთან, მაგრამ გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია ნეტო აქტივების უფრო მეტად ეფექტიანად გამოყენება.

აქციები:

ოთხი კოეფიციენტი გვიჩვენებს ერთ აქციაზე გაანგარიშებული შემოსავლების, დივიდენდებისა და ნეტო აქტივების ზრდას. ეს მაჩვენებლები შეიზღუბა ძალიან სასარგებლო

დამამტკიცებელ არგუმენტად გამოდგეს, თუ საკუთარი კაპიტალის ინვესტორები ან ახალი აქციონერები ან ამჟამინდელი აქციონერები მოითხოვენ სამომავლო გრძელვადიან დაფინანსებას უფლებითი აქციების გამოშვების გზით. ნეტო აქტივების გამოთვლილი კოეფიციენტი გვიჩვენებს, რომ კომპანიას განზრახული აქვს დამატებითი აქტივების დაფინანსება გაუნაწილებელი მოგებიდან. დივიდენდები, ერთ აქციაზე გაანგარიშებით, განუხრელად იხრდება, რაც ეფექტიანი მართვის პოლიტიკაზე მეტყველებს; ანალოგიურად გაზრდილია მოგების მაჩვენებელიც, ერთ აქციაზე გაანგარისებით.

საბოლოო ჯამში, აქციონერთა პოზიცია ხელსაყრელად გამოიყურება, მაგრამ აუცილებელია ამ კოეფიციენტების განხილვა აქციების საბაზრო ფასების ფონზე საანალიზო პერიოდის განმავლობაში. ამით შესაძლებელი იქნება აქციის საბაზრო ფასისა და შემოსავლის ფარდობის კოეფიციენტის გამოთვლა, რაც ძალიან სასარგებლო საბაზრო მაჩვენებელს წარმოადგენს. აქცია ფასის გამოყენება „ერთ აქციაზე“ გაანგარისებულ კოეფიციენტებს სათანადო პერსპექტივას მიანიჭებს.

დასკვნა:

ამ ანგარიშში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ კომპანიის ხელმძღვანელობამ კომპანიის მონაცემების მიხედვით გათვლილი კოეფიციენტები განიხილოს სხვა ანალოგიური ორგანიზაციების მაჩვენებლების ფონზე. კომპანიამ უნდა განიხილოს ფირმათაშორისი შედარების სქემაში მონაწილეობის საკითხი, რაც მას საშუალებას მისცემს თავისი კოეფიციენტები შეუდაროს ანალოგიური კომპანიებისა და მოცემული დარგის საშუალო მაჩვენებლებს.

საკონტროლო კითხვები:

1) კომპანიის მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებული ლიკვიდურობის კოეფიციენტების მაჩვენებლები მიუთითებენ, რომ:

ა) კომპანიას გააჩნია საკმარისი აქტივი, რათა უზრუნველყოს თავისი მიმდინარე ვალდებულებების დაკმაყოფილება.

ბ) კომპანიას არ გააჩნია საკმარისი აქტივი, რათა უზრუნველყოს თავისი მიმდინარე ვალდებულებების დაკმაყოფილება.

გ) კომპანია არამომგებიანია.

- 2) კომპანიის მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებული ნასესხები სახსრების საკუთარ კაპიტალთან ფარდობის კოეფიციენტი (ლევერიჯის კოეფიციენტი) მიუთითებს, რომ ნასესხები სახსრების ხარჯზე გრძელვადიანი დაფინანსების შეფარდებითი თანხა:

- ა) მცირდება;
- ბ) იზრდება;
- გ) არ იცვლება.

ამოცანა 9:

განვიხილოთ ორი საწარმოს „ალფას“ და „ბეტას“ ფინანსური ანგარიშგებები. ორივე მათგანი საბითუმო მოვაჭრეა და კრედიტით ყიდის ელექტროსაქონელს.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 20X2 დასრულებული წლისათვის.

	„აღფა“	„ბეტა“
ამონაგები გაყიდვებიდან	4000	6000
<u>რეალიზებული საქონლის თვითღირ-ება:</u>		
მარაგის საწყისი ნაშთი	200	800
შესყიდვები	3200	4800
	-----	-----
	3400	5600
მინუს: მარაგის საბოლოო ნაშთი	400	800
	-----	-----
	3000	4800
	-----	-----
საერთო მოგება	1000	1200
<u>ხარჯები:</u>		
დისტრიბუციის ხარჯები	200	150
ადმინისტრაციის ხარჯები	290	250
გადახდილი პროცენტები	10	400
	-----	-----
	500	800
	-----	-----
მოგება დაბეგვრამდე	500	400
მოგების გადასახადი	120	90
	-----	-----
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება	380	310

ბალანსი 20X2 წლისათვის

	„აღფა“	„ბეტა“
<u>აქტივები:</u>		

გრძელვადიანი აქტივები:

საწყობისა და ოფისის შემოღები	1200	5000
დანადგარები და ავტომანქანები	600	1000
	-----	-----
სულ გრძელვადიანი აქტივები	1800	6000
	-----	-----

მოკლევადიანი აქტივები:

მარაგი	400	800
სავაჭრო დებიტორები	800	900
სხვადასხვა დენიტორები	150	80
ფული ბანკში	-	100
	-----	-----
სულ მოკლევადიანი აქტივები	1350	1880
	-----	-----
სულ აქტივები	3150	7880

პასივები:

საკუთარი კაპიტალი და რეზერვები:

გამოშვებული სააქციო კაპიტალი	1000	5000
გადაფასების რეზერვი	--	500
დაგროვილი მოგება	950	790
	-----	-----
სულ კაპიტალი და რეზერვები	1950	2890

ვალდებულებები:

გრძელვადიანი ვალდებულებები:

გრძელვადიანი სესხი (წლიური 10%-იანი)	-	4000
--------------------------------------	---	------

მოკლევადიანი ვალდებულებები:

სავაჭრო კრედიტორები	800	800
სხვა კრედიტორები	80	100
ბანკის ოვერდრაფტი	200	-
გადასახდელი გადასახადი	120	90
	-----	-----
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1200	990
	-----	-----
სულ პასივები	3150	7880

დავალება:

ა) ორივე საწარმოსათვის გამოთვალეთ შემდეგი კოეფიციენტები: საერთო მოგების მარჟა, საოპერაციო მოგების მარჟა, უკუგება გამოყენებულ კაპიტალზე, უკუგება აქციონერულ კაპიტალზე, სწრაფი და მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტები, მარაგის ბრუნვადობის პერიოდი, დებიტორის ამოღების პერიოდი, კრედიტორებზე გადახდის პერიოდი. ეს კოეფიციენტები დაგეხმარებათ კომპანიების მომგებიანობის, ლიკვიდობისა და საბრუნავი კაპიტალის მართვის საკითხების შეფასებაში.

- ბ) გამოთვლილი კოეფიციენტების საფუძველზე შეადარეთ ორი საწარმო ერთმანეთს მომგებიანობის, ლიკვიდობისა და საბრუნავი კაპიტალის თვალსაზრისით.
- გ) მოცემულია, რომ „ბეტას“ უფრო მაღალი ლევერიჯის კოეფიციენტი აქვს ვიდრე „ალფას“. გააკეთეთ ანალიზი ამ მონაცემის საფუძველზე ორი საწარმოსათვის.

ამოხსნა:

- 1) სართო მოგების მარჟა = საერთო მოგება / ამონაგები გაყიდვებიდან

$$\begin{aligned} \text{„ალფა“} &-- 1000 / 4000 = 0,25 \text{ ანუ } 25\% \\ \text{„ბეტა“} &-- 1200 / 6000 = 0,2 \text{ ანუ } 20\% \end{aligned}$$

- 2) საოპერაციო მოგების მარჟა = საოპერაციო მოგება / ამონაგები რეალიზაციიდან
(შენიშვნა: საოპერაციო მოგება ანუ მოგება დაბეგვრამდე და პროცენტის ხარჯამდე)

$$\begin{aligned} \text{„ალფა“} &-- 510 / 4000 = 0,128 \text{ ანუ } 12,8\% \\ \text{„ბეტა“} &-- 800 / 6000 = 0,133 \text{ ანუ } 13,3\% \end{aligned}$$

- 3)
$$\frac{\text{საოპერაციო მოგება}}{\text{უკუგება გამოყენებულ კაპიტალზე}} = \frac{\text{საოპერაციო მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალი + მოზიდული კაპიტალი}}$$

$$\begin{aligned} \text{„ალფა“} &-- 510 / 1950 = 0,262 \text{ ანუ } 26,2\% \\ \text{„ბეტა“} &-- 800 / (2890 + 4000) = 0,116 \text{ ანუ } 11,6\% \end{aligned}$$

- 4) უკუგება აქციონერულ კაპიტალზე = მოგება დაბეგვრამდე / საკუთარი კაპიტალი

$$\begin{aligned} \text{„ალფა“} &-- 500 / 1950 = 0,256 \text{ ანუ } 25,6\% \\ \text{„ბეტა“} &-- 400 / 2890 = 0,138 \text{ ანუ } 13,8\% \end{aligned}$$

- 5) მიმდ. ლიკვიდობის კოეფიცი. = მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები

$$\begin{aligned} \text{„ალფა“} &-- 1350 / 1200 = 1,13 \\ \text{„ბეტა“} &-- 1880 / 990 = 1,9 \end{aligned}$$

- 6) სწრაფი. ლიკვიდობის კოეფიცი. = (მიმდ. აქტივები - მარაგი)/მიმდ. ვალდებულებები

$$\begin{aligned} \text{„ალფა“} &-- (1350 - 400) / 1200 = 0,79 \\ \text{„ბეტა“} &-- (1880 - 800) / 990 = 1,09 \end{aligned}$$

- 7)
$$\frac{\text{რეალიზაციის თვითღირებულება}}{\text{მარაგის ბრუნვადობის პერიოდი}} = \frac{\text{რეალიზაციის თვითღირებულება}}{\text{მარაგის ნაშთი}} \text{ ჯერ}$$

$$\begin{aligned} \text{„ალფა“} &-- 3000 / 400 = 7,5 \text{ ჯერ (ანუ მარაგის სენახვის პერიოდი } 365/7,5=49\text{დღე)} \\ \text{„ბეტა“} &-- 4800 / 800 = 6 \text{ ლერ (ანუ მარაგის შენახვის პერიოდი } 365/6=61 \text{ დღე)} \end{aligned}$$

8)

დებიტორის ამოღების პერიოდი = სავაჭრო დებიტ. / კრედიტში რეალიზაცია X 365 დღე

„ალფა“ -- $800 / 4000 * 365 = 73$ დღე

„ბეტა“ -- $900 / 6000 * 365 = 55$ დღე

9)

კრედიტის დაფარვის პერიოდი = სავაჭრო კრედიტ. / საშ. დღ. შესყიდვებთან X 365 დღე

„ალფა“ -- $800 / 3200 * 365 = 91$ დღე

„ბეტა“ -- $800 / 4800 * 365 = 61$ დღე

მომგებიანობა:

„ალფას“ საერთო მოგების მარჟა აღენატება „ბეტას“ საერთო მოგების მარჟას, რაც ალბათ გვჩვენებს მათ მიერ სხვადასხვა ფასის გამოყენების პოლიტიკაზე. შესაძლებელია „ბეტას“ უფრო დაბალი ფასები ქონდეს გაყიდვების გაზრდის მიზნით.

„ალფას“ უკუგება გამოყენებულ კაპიტალსა და აქციონერთა კაპიტალზე უფრო მარალია ვიდრე „გამას“ იგივე მაჩვენებლები. ეს ალბათ, ნაწილობრივ გამოწვეულია ფაქტით, რომ „ალფას“ შენობები არ არის გადაფასებული, მაშინ როდესაც „გამას“ შენობები ასახულია გადაფასებული ღირებულებით. გადაფასება „ალფას“ აქტივების ნეტო საბალნსო ღირებულებას გაზრდიდა მოგების გაზრდის გარეშე, რაც მის დაბანდებულ კაპიტალზე უკუგებას შემცირებდა.

ლიკვიდობა:

„გამას“ ლიკვიდობის მდგომარეობა უსაფრთხოა, მაგრამ „ალფას“ გაცილებით დაბალია, იმდენად, რომ სეიდლებ ითქვას რომ გარკვეულწილად სახიფათოცა. „ალფა“ მოცემულ წელს განაგრძობს მოგების მიღებას და ამ მოგებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები სავარაუდოდ გაზრდის მისი ლიკვიდობის კოეფიციენტების მაჩვენებლებს.

სამუშაო კაპიტალის მართვა:

„ალფა“ უფრო წარმატებით აკონტროლებს მარაგის დონეს, მაგრამ იგი ნაკლებად წარმატებულია დებიტორული დავალიანების დაბალი დონის შენარჩუნების თვალსაზრისით, ანუ მისი ფული გაცილებით დიდხანს ჩერდება დებიტორებთან ვიდრე ეს პროცესი მიმდინარეობს „გამას“ დებიტორების შემთხვევაში.

„ალფას“ საბრუნავი კაპიტალის ნაკლებობის მტკიცებულებაა დაბალი ლიკვიდობის კოეფიციენტები, რამაც გამოიწვია მომწოდებლებისათვის გადახდების დაგვიანებაც. 91 დღიანი დაფარვის პერიოდი საკმარისია მომწოდებლისათვის, რომ მან გადასინჯოს ურთიერთობის საკითხები. „ალფას“ დებიტორული დავალიანების ამოღების დონის „ომეგას“ შესაბამის მაჩვენებელამდე გაუმჯობესების შემთხვევაში დებიტორული დავალიანება შემცირდებოდა დაახლოებით 602 ლარით (55/73*800), რაც მნიშვნელოვან თანხას გამოათავისუფლებდა, მის მიერ კრედიტორებისათვის გადახდების განხორციელებისა და ბანკის ოვერდრაფტის დაფარვისათვის. როგორც ზემოთ აღინიშნა, სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადები „ალფას“ საშუალებას მისცემს, რომ შეამციროს კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი.

ახლა განვიხილოთორივე საწარმოსათვის ლევერიჯის კოეფიციენტის განსხვავებულ მნიშვნელობასთან დაკავშირებული საკითხები.

მაღალი ლევერიჯი ნიშნავს მაღალ ფინანსურ რისკს. ამ რისკს ორი ასპექტი აქვს:

პირველი - როდესაც საოპერაციო მოგება მცირდება, პროცენტის შემდეგ მოგება იზრდება ან მცირდება უფრო მაღალი ტემპით მაღალი ლევერიჯის მქონე საწარმოებში. ეს ნიშნავს, რომ მოგება უფრო დიდი დიაპაზონით მერყეობს.

მეორე - დიდი ოდენობით ვალის მომსახურება მოგების დაცემის შემთხვევაში რთულია, რადგან მაღალია პროცენტის ხარჯი. მანამ, სანამ „გამას“ უკუგება დაბანდებულ კაპიტალზე აღემატება მის სესხზე გადასახდელ საპროცენტო განაკვეთს, მისი ფინანსური მდგომარეობა უსაფრთხოა. სამეურნეო საქმიანობის ინტენსივობის შემცირების შედეგად შეიძლება „გამას“ უკუგება დაბანდებულ კაპიტალზე 11,6%-დან დაეცეს 10%-ზე ქვემოთ, რაც გამოიწვევს უარყოფით უკუგებას სასესხო კაპიტალზე და უარყოფითად იმოქმედებს აქციონერების მდგომარეობაზე. „ალფას“, რომელსაც უმნიშვნელო ლევერიჯი აქვს, სეუძლია სამეურნეო საქმიანობის ინტენსივობის გაცილებით უფრო მეტ შემცირებას გაუძლოს, ზარალის მიღების გარეშე.

საკონტროლო კითხვები:

- 1) რას უდრის საოპერაციო მოგება კომპანია „ალფასათვის“?
პასუხი: 510 ლარი

2) რას უდრის საოპერაციო მოგების მარჟა კომპანია „გამასათვის“ პროცენტებში მთელეზამდე სიზუსტით?
პასუხი: 13%

3) რისი ტოლია „ალფასათვის“ უკუგება აქციონერულ კაპიტალზე პროცენტებში მთელეზამდე სიზუსტით?
პასუხი: 26%

4) რას უდრის სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი კომპანია „ალფასათვის“ მესედამდე სიზუსტით?
პასუხი: 0,79

5) კომპანია „გამასათვის“ მარაგის ბრუნვადობის კოეფიციენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, რისი ტოლია მარაგის შენახვის პერიოდი?
პასუხი: 61 დღე